

Handwritten text in Georgian script, possibly a signature or name, located in the upper left corner.

Handwritten signature or mark in the upper right corner.

ჩ ვ ე ნ ი


თათბა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!


# ჩ ვ ე ნ ი თ ა ო გ ა

საქართველოს საბჭოთა მწიკლეების  
კავშირის ყოველთვიური ორგანო

12 771



თ ბ ი ლ ი ს ი  
1 9 3 8



№ 7  
ივლისი

## შინაარსი

	გვ.
<b>მხატვრული ლიტერატურა</b>	
ვაზრ. ჯაბუშანიური — ორნი . . . . .	3
ვასილ ლომიძე — თუ ომი ატყდა . . . . .	4
რევაზ მარგიანი — დევეთგერის ნასახლარი . . . . .	5
ქ. სურგულაძე — თბილისს . . . . .	6
იოსებ ნონეშვილი — დილა . . . . .	7
შარია მიქელაძე — მეგობარს . . . . .	8
ალექსანდრე ქუთათელი — ვანო სარაჯიშვილი . . . . .	9
<b>კლასიკური მემკვიდრეობა</b>	
ა. პუშკინი — ძუნწი რაინდი, თარგ. არტემ ახნაზაროვისა . . . . .	23
<b>პრიტიკა</b>	
ერ. ასტვაცატუროვი — მაქსიმ გორკი . . . . .	28
ალ. სულავა — კაცობრიობის სახელოვანი ჯარისკაცი . . . . .	35
<b>თანამედროვე საბჭოთა მწერლები</b>	
ლევან ასათიანი — ვალ. გაფრინდაშვილი . . . . .	41
დ. ბენაშვილი — ისტორიული რომანის საკითხთა დაყენებისათვის . . . . .	56

მ ნ ა თ კ რ უ ლ ე  
ბ ი ტ ე რ ა ს უ რ ე

ზაზა. ვაჟუშანური

## ოონი

იმ დღეს ერთად ხნეს, —  
ერთმა უღელი  
კისრით ზიდა და ხენეშოდა ლაბა,  
მეორე ქუხდა მუხლმოუღლეელი  
და ხმაურობით იკლებდა მთაბარს.

შანქანამ თალხი ჩააცვა ყამირს,  
ხარმაც გაშალა ფერები ყორნის  
და, როცა დადგა სალამო უამი,  
შინ გამობრუნდნენ ბაასით ორნი.

ხარმა სთქვა: მიწა დავნამე ოფლით,  
შაგრამ უსიტყვოდ ვითმობ სარბიელს,  
შენ ერთს გეკუთვნის დიდება სოფლის,  
შისი ვარამი რომ დაარბიე.

მეორემ შესხმა მიიღო ნდომით.  
მძაფრი გუგუნით ცა გადალადრა.  
შეირხა გმირი საჭესთან მჯდომი,  
მოუკლო სვლას და პასუხი ჰკადრა:

— შე მალალ მიზნით შენს ყოველ ნაკერს  
გქმნიდი და დახვალ ჩემივე ნებით,  
შე ვამოქმედებ შენს რკინის საჭეს  
და შენც ჩემს ხელში შემობრუნდები.

## მასილ ლომიძე

### 1. ომი თუ ატყდა

ომი თუ ატყდა, თოფის გრიალზე  
ჩემი სამშობლო გასცემს ბრძანებას:  
ფრონტზე წუთსაც არ დავიგვიანებ,  
სიცოცხლე აღარ დამენანება.

შავთვალავ! შენაც ჩემთან იარე,  
წავიდეთ, გული ლომურად ფეთქავს,  
თუ სიყვარულში ჩამეზიარე,  
ხმალთა ელვასაც დავუხვდეთ ერთად!

ცა ჯულაშვილის ლიმილით გვფარავს,  
გზაბნეულებს თავზარი დავსცეთ,  
და გამარჯვება გჯეროდეს მარად.  
სიმართლისა და სამშობლოს დამცველს.

და როცა ველზე მტერს გადავბუგავთ,  
დაგვხვდება მიწა ისევ მწვანეთი, —  
ლამაზო! მღერით დავბრუნდეთ უკან  
და გადავკოცნოთ კვლავ ერთმანეთი!

### 2. მარბალიტი მდინარეში

პატარა ლელე მორაკრაკებს კენჭებზე წყნარად,  
ნაპირზე ზიხარ, წყალს შეუნთე თეთრი ფეხები,  
შენ ვერ გიბედავ, შენს მაგიერ ლერწამს ვეხვევი, —  
მზემ დამცინა და სწივთა ჩქერი გადაიყარა.  
ჩავდივარ წყალში: გაჩენილ ცეცხლს ველარ  
ვიცილებ,  
ანკარა ტალღა, მოთამაშე, მსუბუქად მიტევს;  
მკლავებშიშველი ფსკერზე ვეძებ იმ მარგალიტებს,  
ლამაზო, შენ რომ თვალებიდან გადმოგიცვივდნენ!

# დეკორის ნასახლარი

ბაღყარეთში თავად დევთგეროს ნახევრად დანგრეული სასახლეა. ხალხს სძავს სისხლიანი თავადის ნასახლარი, ნანგრევებს არავინ ეკარება. ამბობენ: იქ ბოროტება ბუდობსო.

რა საცოდავად ჩამონგრეულა,  
მისი შემცოდე მაინც ვინ არის?  
სდგას ხავსიანი კოშკი ეულად,  
ათასი მოყმის ნაცოდვილარი.

სდგას ხავსიანი და დაბინდული  
შავ ნანგრევებში ღამურებს სცივათ,  
საფლავებიდან დამჭკნარი გული  
ჰკივის, ეძახის გაყიდულ ცირას.

ეძახის თავის საყვარელ ვაჟებს,  
დაკარგულთ უცხო სტამბულის მხარეს.  
ჰკივის გიჟივით, გაახელს თვალებს  
და ცივ ნანგრევებს შეაჟრიალებს.

იელვებს სადღაც ციცინათელა  
და უცნაურად ბნელეთში ჩავა.  
ვიღაც უკუნეთს გაატანს წყევლას  
და მოიგონებს სისხლიან თავადს.

რა საცოდავად ჩამონგრეულა,  
მისი შემცოდე მაინც ვინ არის?  
სდგას ბოროტების კოშკი ეულად,  
ათასი მოყმის ნაცოდვილარი.

არ ეკარება არავინ გვიან  
ნანგრევებს ყმების სისხლით შეფერილს.  
მას ბოროტების სასახლე ჰქვიან  
და ეს სახელი მართლაც შეჰფერის.

## თბილისს

მთაწმინდის თავზე ვარსკვლავი ელავს,  
და მზესაც შეშურს თბილისის ბედი.  
გადაჰფენია ქართლის ვრცელ მიწას,  
ბელადის თვალი, როგორც იმედი.

გაბრწყინებულა დიდი თბილისი,  
თითქოს ლაჟვარდში ფრენას აპირებს,  
და მშობლიური ბერიას თვალი  
გადაევლება მტკვარის ნაპირებს.

რკინა-ბეტონში მაგრად ჩასჭედავს,  
ბარათაშვილის მტკვარს მოდუღუნეს,  
ფოლადის ფრთების სწრაფ გაქანებით  
ქალაქის მაჯას ააგუგუნებს.

აგურს მოზიდავს, ვაჟკაცურ ხელით,  
ააგებს სახლებს, თეატრებს, სკოლებს,  
და ყვავილოვან წალკოტად აქცევს  
მზით გადატრუსულ მთას და ტრამალებს.

სპეტაკი შუბლით შეხედავს ყველას,  
წიგნად გადაშლის შვიდ საუკუნეს,  
უმზეო დროში მიფერფლილ შოთას  
მზესავით ნათელს ხალხს დაუბრუნებს.

მზრუნველი ხელით წამოაყენებს  
ქართლის მინდვრებში დაცემულ მგოსანს  
და სამშობლოსთვის განწირულ რაინდს  
უკვდავი სხივით შუბლს შეუმოსავს.

## დილა

მზემ გადმოშალა ბადე სხივების,  
შეკრთა, გაწითლდა ღრუბლის ნარჩენი,  
და მოშრიალე ხეებს მიძივებად  
გადმოეფრქვია ქარვის ჩანჩქერი.  
ზანტად დაიძრნენ გზაზე ურმები,  
ღალღალ აფრინდა მინდვრის ხაოდან.  
დგას ნაწვიმარი მიწის სურნელი  
და ყვავილების სხვადასხვაობა.  
ნაზად გაალო თვალი პირიმზემ,  
ცამ ცისარტყელა მოზიდა მშვილდად,  
თეთრი ტყემლები სუფთა პერანგზე  
სადაფის ღილებს იხსნიან მშვიდად.  
ქრებიან ნისლის ხარაჩოები,  
თრთიან კოკრები ნაზად შლილები.  
სჩანან ყანაში ყაყაჩოებად  
კოლექტიველი ქალიშვილები.  
ამოფრიალდა ქარი უბელო,  
შეეხო ვარდებს და შეუტია.  
ცის ლაქვარდებში კენტი ღრუბელი  
თითქოს გაშლილი პარაშუტია.  
მინდვრად ირხვეა მწყობრი ნადური,  
ფეთქავს სიცოცხლე მთიდან ველამდის.  
დგას ყვავილებით შემოქარგული  
ჩემი სამშობლო ათასფერადი.



# მეგობარს

სადა ხარ ახლა? ფეხბურთელთა იპყრობ სტადიონს,  
თუ შორ სივრცეებს გადაჰკივი რკინის ფრინველით,  
რომ შენი ქება მოიტანოს დილით რადიომ  
და გაზეთებმა — შენი სახე გასაკვირველი?

თუ ინჟენერი მოსვენებას და ძილს ღალატობ,  
ყრუ ინტეგრალებს ებრძვი თითქოს გაბოროტებით?  
თუ სოფლის დილა თავს გელვრება, ალვისტანადო,  
წრიალებს ყანა, შენგან მოვლილ-ნამოროდები?

ეგებ — ძმას ანდე სოფელი და გარჯა გლეხური  
შენ — მშენებელი, დასტრიალებ მაღალ ხარაჩოს?  
თუ პროექტორის ცისფერ თვალთ საზღვრებს შეჰყურებ,  
მშობლიურ მიწის სიხარულს და შრომას სდარაჯობ?

სად ხარ? პოლუსზე, აზრის ფრენას ადევნებული,  
თეთრ მღუმარებას დაენდები შიშის გარეშე,  
შავი წერტილი, ასე მცირე და დიდებული,  
გადაფითრებულ მიწის სუნთქვას უსმენ ღამეში?

თუ ლაბორანტი, სიხარულის ღამენათევი,  
ქალაქს ირიბად ააჭრელებ ელვა-დასკვნებით,  
და ბაქტერიებს აკვირდები თვალთ ნათელით,  
რომ სიკვდილს მეხად დასცე სიტყვა უკანასკნელი!

რასაც აკეთებ: მტერს უმიზნებ მახვილს ალესილს;  
თუ მცურავ ყინულს შორს მანძილზე სადმე გარიყავ,  
ვიცი: სამშობლოს რაინდი ხარ უმხურვალესი;  
მაშასადამე, ისევ ჩემი მეგობარი ხარ!

# ვანო სარაჯიძე

(ნოველიდან: „აბესალომ და ეთერი“)

ეს იყო 1920 წელს. სახელგანთქმული მომღერალი ვანო სარაჯიშვილი სადებუტო როლში, დონ ხოზეში გამოდიოდა. პარტერის მეხუთე რიგი დავიკავე. დარბაზში სინათლე ჩაქრა. ორკესტრის წინ მაღალი კაცი, დირიჟორი სტოლერმანი აღიმართა. გრძელი ხელები განკლავით მაღლა ასწია, გაშალა, თითქო აღსავლის კარების წინ ღაღადს აპირებსო. მის ნიშანზე ორკესტრმა უვერტიურა დაუკრა, ჰაერი ტორეადორის სახეიმო მარშმა გააპო. უვერტიურის დასრულების შემდეგ ფარდა აიხადა. ვანო დონ ხოზეს ასრულებდა. ოპერის პირველი აქტი ჩვეულებრივ ჩატარდა. ოცუციები კარმენის როლის შემსრულებელ ქალს უფრო ჰხვდა წილად და არა ვანოს. ვანოს მაგიერ ვლელავდი, მეორე აქტიც არ ჩატარებულა მისთვის მაინცდამაინც დიდის წარმატებით. მეორე აქტის დასასრულს სცენაზე საოპერო თეატრის დასის მთელი შემადგენლობა დაეწყო და რუსეთიდან ჩამოსულ სტუმარს, სახელგანთქმულ მომღერალს სობინოვს თბილი შეხვედრა მოუწყო. ფრაკში გამოწყობილ, ქერა და ახოვან კაცის, მომღერლის სობინოვის წინაშე ჯერ რეჟისორი, დირიჟორი, მსახიობები წარსდგნენ სიტყვით და მერე პოეტი — დეკადენტი პლატონ მოგველაძე ყალბი ხმითა და ქცევით:

სახელი იმ დიდ მხატვრისა და მსახიობისა რომელზედაც მოგახსენებთ არის ვირტუოზი ტენორი, ბულბულის ყელის მქონე, სახელგანთქმული და გენიოსი მომღერალი: „სო-ბი-ნოვ“ — ისეთი ისტერიული და გამყინავი ხმით შესძახა ევროპულ ტანსაცმელში გამოპრანჭულმა პოეტმა, თითქო არბიტრმა მოჭიდავეთა პარადი გახსნა და ფრანგული ჭიდაობის დიდი ოსტატი, მსოფლიო ჩემპიონი გამოაცხადაო. ქალებმა სობინოვს თაიგულები მიართვეს, პოეტმა მოგველაძემ ხალხში მომძებნა და საჯაროდ შემეკითხა:

— როგორ გამოვაცხადე სობინოვი? ღირდა თუ არა ერთ კარგ სონეტად ეს გამოცხადება?

ჩემს მაგიერ მისმა მეგობარმა უპასუხა:

— გენიალური იყო.

პოეტმა შავი თვალები დააბრიალა და კმაყოფილების ღიმილმა შეუტეხა მსახიობივით დაძაბული მისი ბაგეები.

ვანო მოწყენილი იდგა. სახეზე შევნიშნე, რომ კმაყოფილი არ იყო ამდამდეგი თავისი თამაშით. რა დღეშია მეთქი, გავიფიქრე და მის საპირფარეშოში შევედი. დადუმებულ დეკორაციებს, ხარინჯებს, ბუტაფორიებს, ფარდებს ავხედე და სიცივე ვიგრძენი. ეს ჩემი ნაცნობი განცდაა. ასეთი განცდა მეწვევა ხოლმე ყოველთვის, როცა თეატრის ცარიელ სცენას, კულისებს და ბუტაფორიებს შევხედავ, იმ დადუმებულ სცენას, სადაც ადამიანთა ცხოვრებას და იმათ ვნებებს გვიჩვენებდნენ ამ რამდენიმე წუთის, თუ საათის წინ. დერეფნებში ესპანურ ტანსაცმელში გამოწყობილი, შენიღბული კაცები და ქალები ფუსფუსებდნენ, რომლებიც ტიკინებს უფრო გვანდნენ, ვიდრე ცოცხალ ადამიანებს. უჩუმრად შევადე პატარა ოთახის კარები. ვანო სარკესთან იჯდა. ოფიცრის ტანსაცმელი გაეხადა, კონტრაბანდისტის ტანსაცმელი ჩაეცვა: უბრალო ხალათი, ფართო შარვალი, წელზე ბროწეულის ყვავილის ფერი ფართო ქამარი, შარფი შემოერტყა, ქამრის სათავეში დამბაჩა და სატევარი ჩაერქო. იდაყვებზე დაყრდნობილ ხელების გულზე დაებჯინა ნიკაპი და უცნაურად ათვალაიერებდა სარკეში ანარეკლ დონ ხოხეს, თითქო გონების თვალთ სინჯავდა გრიმით შეცვლილს და სხვაში გადასულ თავის სახესო. ამოწმებდა სახეცვლას. თვალი შევასწარი და მუნჯებული მისი სახისა და ცრემლიან თვალთა ანარეკლს სარკეში. დამიძახა. თოფნაკრავივით შემოტრიალდა სკამზე:

— რას ამბობენ?

— ხალხს ძლიერ მოსწონს შენი თამაში.

მას ყველაზედ უფრო რუსეთიდან ჩამოსულ, სახელგანთქმულ მომღერლის აზრი აინტერესებდა ამაღამ.

— ნუ მანუგეშებ. ოფიცრის ცალუღებში მე უხერხულობას ვგრძნობდი და მგონი როლი ჩავაფლავე. — ჩაიქნია ვანომ ხელი და რკინის გალიაში გამომწყვდეულ ვეფხვივით დაიწყო პატარა ოთახში ჩქარი სიარული აქეთ-იქით. სარკეს რომ ჩაუვლიდა, წამით შეჩერდებოდა, თავის სახეს დააცქერდებოდა ბრაზიანი თვალებით. „არ დაგნებდები“ — შესძახებდა თავისივე სახის ანარეკლს, თითქო თავისავე თავს ებრძვისო. სატევრის ტარზე ხელს იტაცებდა და

ესე იწყებდა ოთახში ბორიალს. რა უნდოდა ეთქვა ამ სიტყვებით „არ დაგნებდები“ მე ვერ გავიგე. ვატყობდი: გონება ველარ იოკებდა მის გრძნობებს. ამაოდ ღელავდა! რუსეთიდან ჩამოსულ გამოჩენილ მომღერალს, სობინოვს ძლიერ მოსწონდა ვანო. შეუქია მაგრამ მსახიობს არა სჯეროდა. სობინოვი კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის გვერდით იჯდა ლოჯაში, როდესაც ვანომ — დონ ხოზემ კარმენს მუდარით მიმართა: „ხედავ, რა წმინდათ ვუვლი ყვავილს, რომელიც შენ მე მაჩუქე!“ სობინოვი გაირინდა. ყოველი ფრაზა ამ არიისა განუმეორებელი ოსტატობით, ძალით და გრძნობით იყო თქმული, თითქო ვანო — დონ ხოზე სულისა და გულის ამოღებას აპირებს კარმენის ფერხთ წინაშე მოსატანადო.

ამ არიისაგან მიღებულ ესთეტიური სიამოვნების გამო სობინოვს — ამ ჯადოქარ ტენორს, ყბაზე კუნთი შეუტოკდა, თვალები ნაკვერჩხლებად აღენთენ და მაგრა მოკუმულ ბაგით წასხურჩულა ფალიაშვილს.

— შეუდარებელია, წარმტაცია.

ანტრაქტის დროს ზაქარია ფალიაშვილმა უამბო ეს ვანოს:

ეს ჯილდო იყო, მაგრამ ვანო მაინც ღელავდა, რადგან მისი აზრით დღევანდელს სპექტაკლში მან ვერ შესძლო შესაძლებლობათა სრული გამომყვანება, მისი დონ ხოზე როდი იყო პროსპერ მერიმეს მიერ დახატული ველური ბასკი, კარმენში სიშმაგემდე შეყვარებული, უგონო და უნებისყოფო ეფრეიტორი, აწ კი ველად გაჭრილი ბანდიტი და კონტრაბანდისტი. ვანოს დონ ხოზე უფრო განზოგადოებულ სახეს წარმოადგენდა თანამედროვე ადამიანისა, რომელშიაც უსაზღვრო სიყვარულის გამო გონება გრძნობას ებრძვის და დასასრულ პატივმოყვარე, გააფთრებული ხედი იმარჯვებს.

საფინალო სცენამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ვანომ აქ იპოვა თავისი თავი და შესძლო შინაგანად მონახული სახის გარეგნული ხორცშესხმა. შესანიშნავი იყო იგი არა მარტო როგორც ვოკალური ხელოვნების დიდი ოსტატი, არამედ როგორც მსახიობიც. ჩვენ მოწამენი გავხდით დონ ხოზეს მიერ კარმენთან უკანასკნელი და განუმეორებელი შეხვედრისა. აი, როგორი იყო ეს შეხვედრა.

კარმენის მიერ უარყოფილი დგას ვანო-დონ ხოზე ცირკის კარებთან, წინ ეღობება სატრფოს. არ უნდა კარმენი შეხვედეს ტორეადორს, გამარჯვებულ პიკადორს. სატრფო ველარ ამჩნევს მის სახეზე აღბეჭდილ სიკვდილის ნიშანს. თვალები ქალისა ამჩნევენ მხოლოდ ხფრიალებულ წითელ ზეწარს, რომლითაც ტორეადორი ახელებს და აწვალებს გაშმაგებულ ველურ ბუღას. თვალები ქალისა

ზედავენ მხოლოდ არენის სილაზე დაღვრილ სისხლს, ტორეადორის შუბისა, დაშნის წვერს და სურს მივიდეს სავენებოთ გამარჯვებულთან. ხელები ვერ იკავებენ ბოშა-ქალის გრძნეულ ტანს. არაბულ ცხენსავით უთრთიან ქალს ნესტოები. გენადების ჩირალდანივით კიაფებენ მისი თვალები, მწიფე ბროწეულივით გაპობილსა და სველ ბაგეზე ისე ადგება ხარხარი, როგორც ზღვის ნაპირს ქაფიანი ტალღა. სატროფომ ვერ შეიგნო თუ რა მსხვერპლი მიიტანა დონ ხოზემ მის ფერხთ წინაშე: სამშობლო, დედა, მოვალეობა, იდეალი, — ყოველივე ეს მხოლოდ შინაარსიდან დაცლილი, უქმი და ცარიელი სიტყვებია ეხლა მისთვის. უკანასკნელად ემუდარება დონ ხოზე:

— კარმენ, დრო კიდევ არის — დაფიქრდი! — ამაოდ: ცირკიდან ისევ ნაძირალების ზეიმი, ყვირილი, კიჟინა, სტვენა და ბრბოს მიერ სათაყვანებელ გმირად ქცეულ ტორეადორისადმი მიმართულ მარში მოისმის. კარმენი მხოლოდ იმ ზეიმითაა მოჯადოებული და სამუდამოდ სტოვებს უარყოფილ დონ-ხოზეს. ვანოს ხელმკლავი ჩამოსცივდა უმწეოდ. ისე დაეკიდა ტანზე, ვით მუხას ქარიშხალისაგან მოტეხილი ტოტები. სდგას სისხლისგან დაშრეტილი, უღონო ჩონჩხი. გაშიშვლდა პირველ-ყოფილი ბუნება ქალისა, ადამიანისა და დონ ხოზე ქამრის სათავიდან სატევარს ამოიტაცებს, რათა ჩასცეს იგი, მაგრამ ვის? კარმენს — თვით სიმღერას? კარმენს — ზღვას დაუშრეტელს? კარმენს — თვით ბუნებას? ქალს წინ გადაუდგა გულგაღელილი, ცირკში შესავალ კარებთან გადაეღობა, ბრაზიანი ვეფხვის თვალები მიანათა, უარყოფილი სიყვარული შმაგად აქცევს მას და აი, გონება დაბნელებული დონ ხოზე — ვანო ხალათს გადაიხვეს, თმაგაწეწილი, წელში მოხრილი და მოღუნული ნელა ეპარება ბებუთით ხელში კარმენს, თითქო ვეფხვივით ემზადება და კამარა უნდა შეჰკრასო. დარბაზი სულგანაბული და გაგუდული ელოდება დაინახოს ეს უკანასკნელი ნახტომი.

თეატრის დარბაზის გუმბათი ტაშისცემისაგან კინაღამ არ ჩამოინგრა.

შავ ფრაკში გამოწყობილი, მაღალი და ქერა კაცი სობინოვი ლოყაში იდგა. სცენისაკენ გადახრილი თავმეუკავებლად უკრავდა ტაშს, თანაც ფალიაშვილს და მსახიობებს გასძახოდა:

— ასეთი სწორ-უპოვარი და გრძნობით სავსე ხმა, ასეთი გაგება როლისა, ასეთი თამაში და სამხრეთული ტემპერამენტი მე ჯერ არსად არ მომისმენია, არსად არ მინახავს. და როდესაც ხალხი დაიშალა და დარბაზიდან გავიდა, მხოლოდ ერთი ქალი-ღა შერჩა ქან-

დარას, უმოწყალოდ უკრავდა ტაშს დაბნეულ დარბაზიდან გასცქეროდა ფარდა დაშვებულსა და აწ დაღუმებულ სცენას. ზოგიერთებმა პალტო მკლავზე გადაიკიდეს, ლოჯაში შევიდნენ. ქანდარას გაჰხედეს და ქალს დასცინეს. ხალხის სიცილზე შეც სასწრაფოდ გაუყარე მკლავი პალტოს სახელოში, ლოჯაში შევედი და ქანდარაზე დარჩენილი ლამაზი გოგონა და ორიოდე მისი ამხანაგი დავინახე. გოგონამ შეგვაძინა, ხარხარი გაიგონა, შეერთა, გაწითლდა, ტაშის ცემა შესწყვიტა და დარბაზიდან დარცხვენილი გაიქცა. ვესტიბიულში მე და დოსტაქარს ევგენის ვანომ წაგვავლო ხელი და გვითხრა:

— არსად გაიბნეთ, ვახშამზე ერთად უნდა წავიდეთ!

— ალბათ მსახიობები შეიკრიბებით ვახშამზე და ჩვენ ექიმები ზედმეტი ბარგი ვიქნებით. — შენიშნა ევგენიმ.

— აბა, ეგეთები არ იყოს! — იავარად უპასუხა და გაიცინა ვანომ. ევგენიმ იონა გააცნო.

— ბედნიერი ვარ, რომ ასეთი დონ ხოზე მოვისმინე.

— ეგ სულიერი საზრდო დიდხანს გეყოფა სოფლად. — უთხრა მოხუცმა იონამ, ხელი მაგრა მოუჭირა და მადლობა გადაუხადა ვანოს. ვანომ დარაჯად თამარი დასტოვა ჩვენთან და ღირექტორის კაბინეტისაკენ წავიდა. დერეფანში, ქანდარაზე მარტო დარჩენილი გოგონა შეეყარა, ვანომ ხელი ჩამოართვა, ხელი მოხვია, კედელთან მიიყვანა და გულთბილი საუბარი დაუწყო. ხალხი ნაცნობები და ჭოლები გარს შემოერტყნენ, თითქო მეცნობოდა ეგ ლამაზი, მაღალი და ტანკენარი გოგონა, მაგრამ ვერცკი მიმხვდარვარ თუ სად მენახა. ვანომ დამიძახა:

— აბა, დააკვირდი, ნუთუ ვერ იცანი ჩვენი მასპინძლის, ზაქროს ქალი?

— ეთერი! — ისე შევეძახე მე, რომ ხალხის ყურადღება მივიქციე.

ჩვენ წინ იდგა სახე-ალანძული, დარცხვენილი, ნორჩი ქალი, მოწაფესავით ხელებ-დაშვებული. მღელვარებისაგან ცალ თვალში სიწითლე ჩასდგომოდა, გაიცინა და მშვენიერმა, გამსჭვირვალე კბილებმა ელექტრონის შუქზე კრთომა გამოსცეს.

— ვინ არის ეს მოწაფე ქალი? —

— ვანოს ნათესავია!

— როგორ გაწითლებულა!

— საცოდავი! — გაისმა ხალხში. ეთერი კიდევ უფრო გაწითლდა, ტანამართულ, მკერდავსილ და შავი, დაგრაგნილი ნაწნავებით ჩემს წინაშე გაჩერებულ მთელ ქალს ავხედე. მომაგონდა ნადირო-

ბისას მთიელთან სოფელში გაცნობილი ხუთმეტი წლის წარმტაცი გოჭონა, ვანოს სიმღერით მოჯადოვებული რომ იდგა ბუხართან, თეთრი ჩითის კაბა ეცვა და ზედ შეინდისა და კუნელის მწიფე ნაყოფივით დასცვენოდა წითელი წინწკლები, „როგორ გაზრდილა, და დაქალღებულა?!“ — გავიფიქრე და უთხარი:

— ეთერი, თქვენი ქება გავიგონე.

— ო, შენ არ იცი. დადგება დრო, მე და ეთერი ერთად ვიმღერებთ ამ თეატრში, მაშინ ნახეთ.

— ნამდვილი აბესალომ და ეთერი იქნება! — შევნიშნე ვანოსა და ეთერს.

ვანოს ზაქარია ფალიაშვილმა წაავლო ხელი:

— კაცო, სადა ხარ? სობინოვი გელოდება.

— დაიცადოს რა! — ისევ იავარად, ტეტიასავით მიუგდო სიტყვა ვანომ და სოფლელებით გაიქნია მხრები. მას უყვარდა ხშირად გლეხებით მარტივი ლაპარაკი, უბრალო ქცევა და მაშინ ვერავინ იტყოდა, რომ ჩემს წინაშე ცნობილი მომღერალი, მსახიობი სარაჯიშვილი დგასო. იქნება ეს ყველაზე უფრო ბუნებრივი სახე იყო მისი, თუმცა ძნელია იმის თქმა, თუ სად იწყება და სად თავდება მსახიობის ბუნებრივი სახე და ნიღბი.

— აბა შენ იცი, ეთერ-ქალო, თუ არ შემარცხვენ და გულმოდგინეთ იმაცადინებ!

— მე თქვენ არ შეგარცხვენთ — ბავშვივით გულ-უბრყვილოთ, ბეჯდით მოწაფის იერით და დარწმუნებით მიუგო კონსერვატორიაში მოსწავლე მთიელმა ქალმა.

ვანომ მხარზე შემოჰკრა ხელი, დაემშვიდობა და ზაქარია ფალიაშვილს გაჰყვა. „შვიდობითო,“ მომადახა ეთერიმ, თავის ტოლებს გაეკიდა, რომელთაც შურდათ ეთერის ვანოსთან ნაცნობობა და მათი ასეთი მეგობრული ურთიერთობა.

\*

\* \*

ვანშამზე პროფესორ მხეიძისა, იონასა და ჩემს გარდა ვანოს სობინოვი, ზაქარია და ივანე ფალიაშვილები, დირიჟორი სტოლერმანი, მეგობარი და ნაცნობი მსახიობები კაცები და ქალები მოუბატყებია. სწორედ რომ ვთქვათ, ეს ვანშამი მასპინძელმა ვანო სარაჯიშვილმა საპატიო სტუმარს, სობინოვს გაუმართა, მაგრამ სობინოვისათვის გამართული ვანშამი ვანოს ზეიმად გადაიქცა. დეკადენტურად მორთულ რესტორანის „ქიმერიონის“ დარბაზში გამართულ

ვანშამზე პოეტმა მოგველაძემ ვანოს სადღეგრძელო დალია და ასეთი სიტყვა წარმოსთქვა:

— ბიზემ თავის სწორუბოვარ ოპერაში „კარმენ“-ში საუკუნეების მანძილზე არსებული დაპირისპირება მოგვცა მამაკაცისა ქალთან და ამათი სახით: კულტურისა ბუნებასთან. დონ ზოზეს უმწეობაში კარმენის წინაშე ვანომ სწორედ ეს დაპირისპირება დაგვანახვა და ადამიანში ვაჟური და ქალური საწყისის ბრძოლა განგვაცდევინა. ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელში“ სიბრძნით აღჭურვილ გმირის მინდიას განზრახვებსაც წინ ელობება ქალი — მზია, ოჯახი, ბავშვები, სქესი, მინდიას ტრაგიული დასასრულად მზიამ გამოიწვია. კარმენი, ვნება-აშლილი მესალინა, გადამთვრალი ალაფა, მენადები, ობობა, ვამპირი, აი, ნამდვილი სახე ქალისა! ქალი — სქესი და მამაკაცი — გონება საუკუნეების მანძილზე ებრძვიან ერთმანეთს. — ამბობდა დეკადენტი პოეტი. რესტორანის „ქიშერიონის“ მოხატულ კედლებს გავხედე და ჩემს ირგვლივ საოცარი სურათები აღიმართნენ სუდეიკინის, ზდანევიჩის, და გუდიაშვილის მიერ შესრულებული: ქალი — ობობა, ქალი — ვამპირი, ქალი — გადამთვრალი მენადა. ძუძუგაშიშვლებულ, აღვირახსნილ ქალთა და კაცთა ქეიფი და სქესობრივი შაბაში.

— აი, თანამედროვე მხატვრობა! — გულდაწყვეტით შევნიშნე ექიმს ევგენი მხეიძეს.

— ავადმყოფობაა. — შიშასუხა მან.

ვანომ კი ისე გულუბრყვილოდ და უმწეოდ დაახამხამა თვალები, რომ ეგ სიტყვები სჩანს ეუცხოვა და ჭკუაში არ დაუჯდა. „აბესალომ და ეთერის“ ავტორმა, კომპოზიტორმა ზაქარია ფალიაშვილმა კი ბიზეს ხსენებაზე მხრები აიჩეჩა, თავის ახალ ოპერის „დაისი“-ს შესახებ დაიწყო ფიქრი, რომლის პარტიტურა ესეც არი გადასცა დირიჟორ სპოლერმანს. დირიჟორმა აღელვება შენიშნა სახე-ალანძულ კომპოზიტორს. ეხლა სობინოვი მიირთმევდა ვანოს სადღეგრძელოს:

— იშვიათია ისეთი ბედნიერი შეხვედრა, როდესაც დიდი მომღერალი, ამეგი დროს დიდი მსახიობიც იყოს. მაგალითად: შალიაპინი. ვანო წარმტაცია, როგორც მომღერალი, ასევე, როგორც მსახიობიც. თუ როგორი მსახიობია ვანო, ეს ყველა ჩვენთაგანმა დაინახა დღეს, მაგრამ მე დღეს ისიც დავინახე, რაც ვანოს ტენორს სხვა ტენორებისაგან ანსხვავებს. ვანოს ხმას ისეთი განუმეორებელი ლირიზმი, უხილავი ძალის მქონე ფლუიდები ახლავს, რომ იგი ბუნებისაგანაა მომადლებული და ხელოვნურად მისი მიღწევა შეუძლებელი



ღია ისევე, როგორც ადამიანის მიერ ბუღბუღივით სტვენა. იცოცხ-  
ლე, კუნაკო! დაიძახა სობინოვმა. ვანოსთან მივიდა, მკლავში ხელი  
გაუყარა. ერთბაშად დასცალეს ჭიქები და რუსეთისა და საქართვე-  
ლოს სახელგანთქმულმა მომღერლებმა ერთმანეთი გადაჰკოცნეს.  
ტაშის ცემა ატყდა. სობინოვის პატივისაცემად გამართულმა ვახ-  
შამმა ბანკეტის ხასიათი მიიღო. რადგან ბანკეტზე მსოფლიოში  
ცნობილი მომღერალი და დიდი გემოვნების, მუსიკის მცოდნე ადა-  
მიანი იმყოფებოდა, ამიტომ კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი  
როიალთან მივიდა. ფრაკის კალთები აიკეცა, დაჯდა. ახალ ოპერი-  
დან „დაისი“-დან ზოგიერთი ადგილები დაუკრა. ვანომ ცნობილი  
არია „თავო ჩემო“ იმღერა. მკერდზე დაშვებული, მკრთალი სახე  
ასწია, მუსიკალური იარაღის გობოის ბოლოსავით წარზიდა წინ  
მსუქანი ტუჩები და გლოვით სავსე, საამო ხმა გამოსცა: „თავო ჩემო,  
ბედი არ გიწერია“. თითქო სამშობლო მთებსა და მთელ ქვეყანას  
ეთხოვებო. თითქო მსახიობმა შეიპყრო გრძნობა და ვით საყვა-  
რელი პატარა ბავშვი გულში ჩაიხუტაო, სობინოვს თვალზე ცრემ-  
ლი შეენიშნე. მოქეიფე პოეტები, სამხედრო პირები, მოქალაქენი  
სულ განაბული უსმენდნენ. მთელი დარბაზი გაინაბა, თითქო მიი-  
წურა, გადნა და ჰაეროვან ფალცეტს ცისკენ გაჰყვაო. გამიგონია,  
კომპოზიტორმა ვერდიმ თეატრს, დირიჟორს და მსახიობებს მოსთ-  
ხოვა მისი „რიგოლეტოს“ ცნობილი არია „ლამაზი ქალი“ პირველ  
სპექტაკლამდე საიდუმლოდ შეენახათ და არავისთვის არ ემღერნათ.  
მაგრამ ზაქარია ფალიაშვილის „დაისი“-ს შესანიშნავი და სახალხოდ  
ცნობილი არია „თავო ჩემო“ ოპერის დადგმამდე გამჟღავნდა.

\*

\* \*

გარეთ თოვდა. ვანომ ეტლი დაიჭირავა, თამარი და ქალები შინ  
გაისტუმრა. სობინოვი სასტუმროში მივაცილეთ. აქ კიდევ გადაჰ-  
კოცნეს შემთვრალმა მომღერლებმა ერთმანეთი. მე და ვანო მარტო  
წამოვედით. ვანოს ფეხი ეშლებოდა და ეტლის დაჭირავება შევთავა-  
ზე, მაგრამ მან ალექსანდრეს ბაღთან ჩაუხვია, მკლავში ხელი წა-  
მავლო და მითხრა:

— წამო, ხაში ვჭამოთ.

ვორონცოვის ხიდი რომ გავიარეთ, ვანო შეჩერდა, ვორონცოვის  
ძეგლს შეუკურთხა. მერე რესტორანი „ტილიბუჭური“ გავიარეთ და  
ყანდაშვილის სარდაფში ჩავედით.

— გიგოს გაუმარჯოს! — კიბიდანვე ჩასძახა ვანომ დახლიდარს.  
— ვანოს გაუმარჯოს. — სიცილით შეგვეგება გახარებული დახ-  
ლიდარი. ჩასუქებული, შავგვრემანი და ხალიანი ვაჟკაცი.

— კარგი ხაში თუ გაქვს, საჩვენო?

— მირონისა მაქვს, ვანო ჯან! სწორედ სათქვენო.

სარდაფში ხელოვნები და მეტაჩკეები ისხდნენ. ისინიც მიესალ-  
მნენ ვანოს. ვანო სამზადის კედელში გამოჭრილ ფანჯარას მიადგა  
და მზარეულს დაუძახა:

— დიმიტრი, ხაშზე როგორა ხარ! გიგო აქებს კარგიაო, მაგრამ  
ხომ იცი ჩარჩია, ეგ სახელძაღლი, მართალს არ იტყვის...

ჭარხალივით წითურმა, ჩასუქებულმა და ჭორფლიანმა მზარე-  
ულმა ქვაბს სახურავი აპხადა, შიგ ჩაიხედა და დაიძახა:

— იფ, იფ, იფ!

— აბა, ორი მათლაფა დაასხი.. ჭაჭის არაყი გექნება..

— დაბრძანდით, ყველაფერიცა მაქვს. თქვენ გენაცვალთ ჩემი  
თავი.. ორი ხაში ნივრით! — დაიყვირა გიგომ.

177  
178  
პური ხელით დავგლიჯეთ. ხაშში ჩაეყარეთ და ჩავაბუფბუფეთ.  
მერე ჭიქები ერთმანეთს დავაჯახეთ და არაყი გადავკარით.

— ეტყობა სობინოვს მოვეწონე დონ ხოზეში. ყბედობაში ნუკი  
ჩამომართმევ და აბა, კავარადოსში მნახოს ვინა ვარ. ნადირში მნა-  
ხოს ვინა ვარ, ჰერცოგში, რაულსა და რადამესში მნახოს ვინა ვარ!

— კმარა... ვანო სარაჯიშვილი სადღაა?

— აქა ვარ! ჯამბაზი, ვინმე ყანდაშვილის სარდაფში... — ხელი  
სახეზე მოისვა, თითქო ნამდვილ თავის სახეს სინჯავსო მერე დას-  
ძინა: — სახე მეწვის... როგორ მოგეწონა ჩემი გმირი?


— შენი გრიმიც და გმირიც ძლიერ მომეწონა.

დამაცქერდა დიდრონი და უცნაური თავისი შავი თვალებით  
ზანგივით მსუქანი და ვნებიანი ტუჩები შეარზია. თეთრი კბილების  
რკალი გამოუჩნდა. ბუხრის ქუდი მოიხადა. გიშერივით შავსა და  
დაკრავნილ თმაზე გადაისვა ხელი.

— ნახმლევი კარგად დაგტყობია!

— გახსოვს? ეს როგორი შემთხვევა იყო! ზაქროს რომ არ  
მოესწრო, ნეტავ ექო მაჯობებდა?

— გაჯობებდა, მაშ! იგი აკენიდანვე თოფსა და ხმალს შეჩვეუ-  
ლი. ვეფხვივით მარდი. ღმერთს უნდა უმადლოთ, ზაქრომ რომ მოგ-  
ვისწრო. ექო სცენის ტიკინა როდია, კარმენის სატრფო, ბანდიტი,  
შენი მეტოქე, რომელსაც შენ ღღეს დასჯაბნე და დანით გაათავე..  
ო, რა შიში ვჭამე!



— სამაგიეროთ ეთერის ვერასოდეს ვერ შევხვდებოდით.

ვანო, ნადირობის დროს მთაში გაცნობილ მასპინძლის ზაქრო ჯიქაიძის ქალზე ეთერიზე ლაპარაკობდა, რომლის გულისთვისაც ექო, ჭაბუკი მთიელი ყაჩაღივით შეეყარა ვანოს გზაზე და ხმალში გამოიწვია.

— როგორი ლამაზი ქალი დამდგარა! ვანო, ჩემს თვალებს არაფერი არ გამოგეპარება. ჩემის აზრით ეთერის უყვარხარ.

— რა შენი საქმეა. ვინ გეკითხება სხვის საქმეში რომ ერევი? — გაიცინა ვანომ.

— არა, მიპასუხე: მართალია თუ არა?

— მართალია. — ვანო ჩემკენ მოიწია. დაიწყო:

— ექოსა და ეთერის შორის დიდი ზღვარი გაითხარა. ეთერის ჩინებული ხმა აქვს, კარგი მომავალი. ნიჭიერი ქალია და იცი, მას მალე სცენაზე იხილავ.

— ვანო, გახსოვს შენ რომ ექოს შევჭფიცე? სად არის ეხლა ექო, რას აკეთებს?

— ექო ქალაქშია, სამხედრო სკოლა დაასრულა, პრაპორშნიკობა მისცეს და ეხლა ცხენოსან ჯარში მსახურობს.

— როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— ხშირად მესტუმრება ხოლმე, ძმობას მეფიცება. მზად არის ჩემი გულისათვის ასი კაცი მოჰკლას და ასჩეხოს, კარგია: არც ერთი მტერი და მოსისხლე არ მყავს, თორემ სიცოცხლეს გამოასალმებდა.

— ერიდე: შენ არ გაგათაოს.

— მე რათაო;

— ეთერზე თუ შეეცილე, არ დაგზოგავს.

— ეთერის ვერ დაუთმობ.

— ვანო, შენ ცეცხლს ეთამაშები!

— ეთერი ჩემი ბედია.

— შენ მასხრობ, რალა თქმა უნდა.

— არა, ძმობას გეფიცები.

ძლიერ გამიკვირდა, ნუთუ მართლა ამბობს მეთქი და გავაფრთხილე:

— თავი არ წააგო.

— არც ისე ძვირად მიღირს ეს გოგრა!

— შენი თავი მარტოკა შენ როდი გეკუთვნის.

ვანოს გაეცინა, ხელი ჩაიქნია და მიპასუხა:

— როგორ ეუბნება მოხვეე ილიას? ჰო: ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო!

— თუ თავი შენი თან გახლავს, ღარიბად არ ჩაითვლებიო, ესეც ვამიგონია, საქმეს დაუკვირდი და ასწონ-დასწონე.

ვანო ამბობდა:

— ჩარჩი რომ არა ვარ გრძნობებიც ავსწონ-დავწონო? ეს შენ გაგიმარჯოს, ჩემი ცხოვრების მესაიღუმლეს. — არაყი გადაჰკრა. ცხვირზე პურის გული მიიღო. უყნოსა.

ამ დროს მეზურნეებიც მოვიდნენ და ვანო იმათ მიესალმა. მივიდა. დოლი აიღო და მოხუც მეზურნეს გვერდით მიუჯდა. მოხუცმა დუღუკი გააწყო, გაიღიმა და ვანოს შეეკითხა:

— რა დაუკრა, ვანო ჯან?

— ეთიმ გურჯის...

დახლიდარი გიგო ყანდაშვილი, მზარეული დიმიტრი ადვი-შვილი და სუფრაზე მომუშავენი დარბაზში გამოვიდნენ. მოლიმარ სახით დააცქერდნენ ვანოს...

მოქეიფენიც სმენად იქცნენ. ცნობილმა მეზურნემ კაპლო ზურიაშვილმა ჩაჰბერა, მსუქანი ლოყა გაებუშტა. დუღუკი ააკვნესა: ვანომ ბაიათი წამოიწყო.

...„კარგი იყო არ მენახე თავიდან...“

მსმენელებმა დარბაზი გააყრუეს ტაშისცემით.

— ვანო რომ იმღეროდეს შიქასტებსა, აბა მაშინ ნახე ლუკმა პურის დაკარგვა, კაპლო ჯან!— გაეხუმრა ყანდაშვილი მოხუც მეზურნეს კაპლო ზურიაშვილს.

კაპლომ ქუდი მოიხადა და ვანო დალოცა:

— შენ იხარე და გაძეხი წითელ მზითა და მწვანე ბალახითა, ვანო ჯან!

ვანომ მეზურნეებს სუფრა გაუშალა და მათთან ქეიფი დავიწყეთ. მერე ვანო ისევ თავის მაგიდასთან დაჯდა. არაყი მოითხოვა და საიდუმლო გამომხილა.

— იცი, ამ ერთი თვის წინად „აბესალომ და ეთერში“ ვიმღეროდდი, აბესალომისა და ეთერის მიჯნურობაში ჩემი და ეთერის თავგადასავალი მეჩვენა.

— აბა რა აქვს საერთო თქვენს თავგადასავალთან აბესალომ და ეთერზე შეთხზულ ზღაპარს?

— რატომ? ზღაპარსა და მათში ხშირად სრულიად რეალური ამბავია გამოვლენილი, აბა, დააკვირდი. აბიო მეფის შვილი აბესალომი და მისი ვეზირი მურმანიც ხომ ნადირობის დროს წააწყდნენ ღარიბი გლეხის შვილს, ულამაზეს ეთერს? აბესალომს შეუყვარდა ეთერი და მერე ხომ იცი, რაც მოხდა?

რადგან იმ ნადირობაზე, როდესაც ვანო ეთერის შეეყარა მეტყუიანი ვანოსთან, ამიტომ გავეხუმრე:

— ნეტავი მურმანი მე ხომ არა ვარ?

— კარგია, ნუ ოხუნჯობ, მურმანი შენ კი არა, ექოა.

— თუ ექო მურმანია, შენი საქმე დალუბულა, უბედურება გელის. — განვავრძნობდი კვლავ ოხუნჯობას, მაგრამ ვანომ მოიწყინა, ხანგრძლივ დააქერდა არაყის ცარიელ ჭიქას განცვიფრებულ და გაშტერებულ თვალებით. გამიკვირდა: მართალს ამბობს, მეთამაშება, მცდის თუ ზომიანზე მეტად დაითრო მეთქი.

— სხვათა გრძნობის და თავგადასავალის განცდა, სახიობობა უფრო ადვილი ყოფილა, ვიდრე საკუთარისა, — დაიწყო ვანომ — რა წამს ეს შევიგნე და განვიცადე, ჩემი სიმღერა და თამაშიც შეფერხდა.

— სწორედ ეგ თამაში და სახეცვლა მსახიობისათვის მიმადლებული ნიჭი.

— ნეტავი იცოდე, როგორ მომწყინდა, მუდამ სხვათა განსახიერება! — ჩაიჭნია ვანომ ნახმლევი ხელი და სახე მოიქცია წუხილით, „რისთვის ლელავს. რისთვის სვამს ამდენს მეთქი“, გავიფიქრე და მისი გაფრთხილება დავიწყე.

— ვანო, ღვინო და არაყი ძლიერ ვნებს ხმას. მით უმეტეს ტენორს.

ვანომ აღარ მაცალა.

— ვიცი რისი თქმაცა გსურს. მაგრამ იცოდე. თუ ხანდახან ჩემს მარცხზე ლაპარაკობენ, თუ ჩემი ხმა ამ ბოლო დროს მოისუსტებს, ამას თავისი მიზეზი აქვს.

— რა მიზეზი?

— ეთერის სიყვარული..

— ვერ გამიგია მართალს ამბობ თუ მაპამბულებ! რა შენი საქმეა უბრალო ვიღაც მთიელი გოგო; განა ქალები ცოტაა ღირსეული და შენი ტოლი?

— ვინ ქალები? მსახიობი ხომ არა? იმათ ნუ გამაგონებ. მომბეზრდნენ. მე რაც ქალები მინახავს, ყველა ისინი უგულო და უსულო ტიკინებია, რომლებშიაც მარტოკა ცალიერი სქესი მეტყუელებს, შენ არ იცი რა ქალია ეთერი: უბრალო, უშუალო და შეურყენელი.

— ეთერი უბრალო, ნიჭიერი და ლამაზი ქალია, მაგრამ, ვფიქრობ, შენი შესაფერი არ უნდა იყოს.

— შესაფერი რას ნიშნავს?

— თანატოლს.

— ცრუ აზრია. მე პირველად განვიცადე ნამდვილი გრძნობა მიჯნურობისა. „მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი“, მართალი უთქვამს შოთას.

— მე ხომ სიძვაზე არ მოგახსენებ. განა თანატოლი როსკიპს ნიშნავს?

— მე რაც ქალი მინახავს, ყველა შენიღბული, ბილწი და მრუში აღმოჩნდა.

— საუბედუროდ, მსახიობები უმრავლეს შემთხვევაში ასეთები ხართ.

— ძველი და ცრუ შეხედულებაა, ეს, თქვენ განა იცით ნამდვილი მსახიობის ვაება?

— რა ვაება?

— მე მოჩვენებათა სამყაროს და გამოგონილ პირობა 'განსახიერებას გადავყევი და საკუთარი ჩემი სახე დაკარგე. საკუთარი გრძნობის განცდა სადღაა? შენ იხარე და გაძეხი წითელ მზითა და მწვანე ბალახითო, როგორ დაპლოცა კაპლომ, ხომ გაიგონე!. მაგრამ მე განა მეცალა წითელი მზითა და მწვანე ბალახით გახარებისა და გაძლომისათვის? მე სხვათა მაგიერ ვეგებებოდი წითელი მზის ამოსვლას. სხვათა მაგიერ დავსტიროდი მის დაკარგვას. სხვათა ყურებით ვისმენდი ძმათნაფიცობას, ლალატს, მიჯნურთა მწველ სიტყვებს, სიხარულს და ბოლოს გრძნობა გაქრა, განიძარცვა საკუთარი თვალების ხედვა და საკუთარი ყურთა სმენა. გული გაცივდა...

ძლიერ გამიკვირდა ვანოსაგან მისთვის ასეთი უჩვეულო ქართული. ის უფრო ზერელე კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა. ნამდვილად კი ასეთი არ იყო. შევნიშნე:

— შენ სულიერი დიდ გარდატეხის წინაშე დამდგარხარ.

— ეხლა, როდესაც ჩემს განვლილ გზას თვალს ვავლებ — მიპასუხა ვანომ — ვრწმუნდები, რომ მე თითონ არაფერი მიგრძენია, მე თითონ არაფერი განმიცდია. მე მხოლოდ გამოძახილი ვიყავი სხვათა გულისთქმისა და შეთხზულ გრძნობებისა. იცი თუ არა შენ ნამდვილი მსახიობის ვაება? მე მინდა განვიცადო საკუთარი ცხოვრება, საკუთარი ტანჯვა, აღტაცება და სიყვარული. ამ დასკვნამდე და სურვილამდე მიმიყვანა მე იმ უბრალომ, გულმუბრყვილომ, შეუბღალავმა მთიელმა გოგონამ.

ვანოს თვალები შუქნაკრავ ამეთვისტოსავით კიაფობდნენ და მე მივხვდი, რომ იგი ეხლა არა მსახიობობდა.

— წავიდეთ, — დაიძახა მან და ერთბაშად წამოიჭრა. — ეთერი უნდა ვნახო ამ დილით!

\*

\* \*

სარდაფიდან ამოვედით. სავსებით გათენებულიყო. დედამიწაზე ნახევარი ადლი თოვლი იდო. ალექსანდრეს ბაღში დაბუჭული ნაძვის ტოტები მიწამდე დახრილან. ხეთა შორის რძისფერი ბურუსი და უმძაფრესი სიჩუმე ჩამდგარიყო. ქალაქს ჯერ კიდევ ეძინა და ისევ გულდაგულ თოვდა. ვანო შეჩერდა, ბუხრის ქუდი, კრაველის საყელო თოვლით გადაჰპენტოდა. ბაღს გაჰხედა და წამოიწყო: „ზამთარია.. აა, ჰე!“ — მერე ერთბაშად შესწყვიტა სიმღერა. ამოსუნთქვისას ორთქლმა შადრევანივით გააპო ჰაერი და ირგვლივ ღვინისა და არყის სუნი დააყენა. ვანოს მკლავში ხელი გაუყარე და პროსპექტზე ამოვედით. ეტლი დაიჭირავა.

— ფასანაურის ქუჩა. ნომერი ოცდაოთხი! — შესძახა მეეტლეს.

— ფასანაურის ქუჩაზე რა გინდა?

— ეთერი!

გაკვირვების ნიშნად მხრები ავიჩიე.

# ქდასიკუჩი მამკვიდრობა

ა. კუჭინი

## ქენნი რაინდი

მე-2 სცენა

სარდაფში

ბარონი

როგორც ჭაბუკი თავქარიანი  
მოელის გარყვნილ და ცბიერ ქალთან.  
და ან იმ სულელ ქალის შეხვედრას,  
რომელიც თვით ჰყავს მოტყუებული.  
ისე მეც ამ წუთს ველოდებოდი,  
რომ საიდუმლო ამ ჩემს სარდაფში  
ერთგულ სკივრებთან ჩამოვსულიყავ.  
ბედნიერია ეს დღე, რადგანაც  
დღეს შემიძლიან ჩემს მეექვსე სკივრს,  
ჯერ რომ არა მაქვს მთლად შევსებული,  
მე ერთი მუჭა ოქრო შევმატო,  
რაც დავიზოგე და მოვაგროვე.  
თითქოს ცოტაა, მაგრამ თანდათან  
განძი იზრდება. სადღაც ოდესღაც  
ამომიკითხავს, რომ ერთს მეფეცა,  
მხედრებისათვის უბრძანებია, —  
თითომ თქვენგანმა მუჭის ოდენი  
მიწა აიღოს და იქ დაჰყაროს,  
სადაც მე ადგილს დავუნიშნავო.  
ასეც მოიქცნენ და იმ ადგილას  
ამაყი ბორცვი ცად აღიმართა,



იმ სიმაღლიდან მეფემ განცხრომით  
გადაჰხედა და თვალი მოავლო  
თეთრის კარვებით სავსე მინდორსა  
და ზღვას, გემებით ამოძრავებულს.  
მეც ისე თითო მუჟა მომქონდა  
ჩვეული ხარკი ამ ჩემს სარდაფში  
და ბორცვი დავდგი, რომლის თხემიდან  
დავყურებ, რასაც-კი ვეუფლები.  
ან მე რაღა არ შემორჩილება?  
როგორც დემონი, აქედან შევძლებ  
ძთელი ქვეყანა ვმართო, განვაგო;  
თუ მოვინდომე და მოვისურვე,  
სრა-სასახლენი აღიმართება  
და ჩემს მშვენიერს ბალ-წალკოტებში  
ყოველ მხრივ მოვა და თავს მოიყრის  
ძთელი ლიანგი ფერიებისა;  
მუზებიც თავის ხარკს მომართმევენ,  
თავისუფალი, ზემადღცხებული  
თვით გენიაც-კი დამემონება;  
სათნობაც და უძილო შრომაც  
ჩემგან, ვით მონა მუხლმოდრეკილი,  
ჯილდოს, საჩუქარს დაელოდება.  
ერთს დავუსტვენ და ჩემთან მორჩილად,  
შიშით და კრძალვით შემოფოფხდება  
სისხლში მოსვრილი ბოროტმომქმედი,  
ხელს ამილოკავს და შემომხედავს,  
რომ ჩემი ნება, ჩემი სურვილი  
ამ ჩემს თვალებში ამოიკითხოს.  
სულ ყველაფერი მე მემონება,  
მე-კი — არავის და არაფერსა;  
სურვილს და ნატვრას თავზე დავცქერო,  
გული მაქვს მშვიდი, დაწყნარებული,  
ჩემს ძალასა ვგრძნობ და მე ეს გრძნობა  
სრულად, სავსებით მაკმაყოფილებს...

(თავის ოქროს დასცქერის).

თითქოს ცოტაა შესახედავად,  
მაგრამ რაოდენს კაცთ საზრუნავსა,  
ცრემლს და ვედრებას, წყევლა-კრულვასა  
და მოტყუებას ეს წარმოგვიდგენს.  
აგერ ბაჯაღლო ძევს ძველის-ძველი,  
დღეს მომცა ქვრივმა მანდილოსანმა,  
მაგრამ ამ ოქროს გადმოცემამდე  
ნახევარი დღე მუხლმოდრეკილი  
ჩემს ფანჯარასთან სამის ობოლით  
იდგა. ტიროდა და გაჰკიოდა.

სწვიმდა, გადილო, კვლავ წამოწვიმდა,  
მატყუარა-კი არ იძვრებოდა,  
შემეძლო მისი გაგდება, მაგრამ  
გული მითქვამდა, ჩამჩურჩულებდა,  
რომ მოეტანა ქმრის ვალი და ხვალ  
ციხეში წასვლას არ ინდომებდა.

აი, ეს ტიბოს მოტანილო...  
ვინ მისცა ზარმაცს და გაიძვერას?  
რალა თქმა უნდა, მოიპარავედა,  
ან იქნებ ღამე იქ, შარა გზაზედ...  
ღიად, ამისთვის, რაც მე აქა მაქვს,  
დაღვრილმა ოფლმა, ცრემლმა და სისხლმა  
უცბად მიწიდან რომ ამოჰხეთქოს,  
კვლავ წარდენა მოვა და მეც აქ, ამ ჩემს  
სანდო სარდაფში დავინჩრჩებოდი.  
მაგრამ დრო გადის.

### (სკივრის გაღებას დააპირებს)

ყოველთვის, როცა  
ამ სკივრის თავის ახდას ვაპირებ,  
კანკალ-ცახცახი ამიტანს ხოლმე.  
შიშით-კი არა, აბა მე შიში  
რად უნდა მქონდეს? ხმალო ზედა მაქვს,  
და ოქროს ძლიერ კარგად დაიცავს.  
პატიოსანი ჩემი მახვილი,  
გულს ჰხუთავს რალაც უცნობი გრძნობა.  
ეს ექიმები ხომ გვარწმუნებენ,  
რომ არის თურმე ისეთი ხალხი,  
რომელიც კაცის მოკვლის დროსაც-კი  
სიამოვნებას და შვებასა ჰგრძნობს.  
როცა კლიტეში გასაღებსა ვდებ,  
ვგრძნობ, რასაც მკვლელნი უნდა იგრძნობდნენ,  
ოდეს მსხვერპლს გულში ხანჯალს ჩასცემენ:  
ვისიამოვნობ და თან შიშიც მიპყრობს.

### (სკივრს თავს ახდის).

ეს გახლავთ ჩემი აქ ნეტარება.

### (ოქროს ჩაპყრის).

წადით, გეყოფათ ქვეყნად წანწალი,  
ადამიანის ვნება-ჟინის და  
საჭიროების მომსახურება.  
ძალუმად, მშვიდად აქ დაიძინეთ,  
ვით ცის სიღრმეში ღმერთებსა სძინავთ...  
დღეს მინდა ჩემთვის ლხინი მოვაწყუო:  
ყოველ სკივრის წინ სანთელს ავანთებ,

სკივრებს თავს აეხდი და გადავხედავ  
ამ ჩემს ბრწყინვალე ოქროს ზვინებსა...

(სანთლებს აანთებს და სკივრებს გაალებს)

მეფე ვარ, მეფე. აბა შეხედეთ,  
რა ჯადოსნურად ჰბრწყინავს ელვარებს.  
ქლიერი არის ჩემი სამეფო,  
იგი მართო მე მემორჩილება,  
ეს არის ჩემი ბედნიერება,  
ჩემი დიდება, პატიოსნება.  
მეფე ვარ, მაგრამ ჩემს სიკვდილს შემდეგ  
ამ სამეფოს ვინ დაეუფლება?  
ჩემი მემკვიდრე! ის ახალგაზდა,  
უგუნური და ფულისმფლანგველი,  
ის მოქვიფე. თავაშვებული,  
გარყვნილ ჭაბუკთა თანამგრძობელი.  
როგორც მოგვცდები, ის, ის შემოვა  
ამ მშვიდობიან და მუნჯ თაღებ ქვეშ  
და თან მოიყვანს აქ კარისკაცებს,  
მლიქვნელსა, ხარბსა და პირმოთნესა.  
ჩემს გვამს გასაღებს იგი მოჰპარავს,  
სიცილ-კასკასით სკივრებს თავს. ახდის  
და ეს საუნჯე გამიწყალდება  
ფარჩის გახვრეტილ ჯიბეებს შორის.  
დაამსხვრევს წმინდა და საღმრთო კურტკელს,  
ტალახს ზედ წასცხვებს სამეფო მირონს, —  
სულ მთლად გაჰფლანგავს... და რა უფლებით?  
განა ყველა ეს მუქთად მრგებია  
და ან ხუმრობით, როგორც ყომარბაზს,  
ძვალის კამათლებს რომ გააგორებს  
და ოქროს ზვინებს მუჭობით ჰხვეტავს?  
ვინ იცის, ყველა ეს მე რად მიღირს,  
ჩემი სურვილი გულისთქმა, ნატვრა  
რამდენჯერ მწარედ დამითმენია,  
ვნებათა ღელვა მთლად ამილაგმავს,  
რამდენი დარდი, დღიური ზრუნვა,  
უძილო ღამე ამიტანია.  
ჩემი შვილს-კი ჩემზე რას იტყვის?  
გული ჰქონდაო დახავსებული,  
სურვილი გულში სულ არ აღძვრია,  
რომ სინიღისის ქენჯნა-წვალება  
არასოდეს არ გამომიცდია.  
სინიღისი, ეს მხეცი, ნადირი,  
ბასრის ბრწყინებით გულის მქენჯნავა,  
უცხო სტუმარი, მოუწვეველი  
და მოსაუბრე თავმოყვყენი,

ეს ტლანქი ფულის გამსესხებელი,  
ეს ჯადოქარი და კუდიანი,  
რომლის წინაშე მთვარე ბნელდება  
და საფლავები შეიძვრებიან  
მკვდრების კუბოდან განსადევნელად?..  
არა, ჯერ ტანჯვით შეჰქმნას სიმდიდრე  
და მერე ვნახავთ, ის უბედური  
როგორ გაჰფლანგავს, რაც რომ წვალეებით  
და სისხლის დაღვრით შეუძენია?!  
ოჰ, რომ შემეძლოს უღირს თვალთავან  
ჩემი სარდაფი სადმე მივჩქმალო,  
ან სამარიდან უკან დავბრუნდე,  
აჩრდილ დარაჯად ვიჯდე ამ სკივრზე  
და როგორც ახლა, ჩემი საუნჯე  
ისე დავიცვა და დავიფარო!..

თარგმანი არ ტ ე მ ა ხ ნ ა წ ა რ ო გ ი ს ა .

# კ რ ი ო ი კ ა

მრ. ასტვაცატუროვი

## მ ა ქ ს ი მ გ ო რ კ ი

შიმიმე და საშინელი იყო დიდი პროლეტარული მწერლის მაქსიმ გორკის ბავშვობა. „დაბალი ფენიდან“ გამოსული უდემდემო ბავშვი ქუჩაში დაჩა. გაბატონებული სინამდვილის საშინელმა „ლოგიკამ“ ბოსიაკური ცხოვრების ღრმა მორევში შეაყურა იგი. კაპიტალისტური ურთიერთობის უთანასწორო სტიქიამ მრავალჯერ დაუპირა მას დაღუპვა და ჩაძირვა ამ მორევის ფსკერზე, მაგრამ იმ დიდი ადამიანური ბუნებითა და ნიჭით, რომელნიც გორკის მრავალ თანდაყოლილ თვისებათა რიგს ეკუთვნოდნენ, ის ყოველთვის ტალღებს ზევით იყო მოქცეული, გრიგალსავით შეუპოვრად ებრძოდა „ბედს“.

როცა ბავშვობის წლები დასრულდა და გამაგრდა ახალგაზრდა გორკის ვაჟკაციური ხერხემალი, ძველი რუსეთის იმპერიის უზარმაზარ სივრცეზე მისი სახელი სწრაფად გავრცელდა ძლევაშოსილი ქარიშხლის მზგავსად, რომელმაც არ იცის უკანდახევა და რომელიც ნამსვრევებად აქცევს ხოლმე ყოველგვარ დაბრკოლებას.

მაქსიმ გორკიმ თავიდანვე გამოამყდავანა არაჩვეულებრივი ნებისყოფა ნამდვილი ცხოვრებისთვის ბრძოლაში. ის შეუპოვრად მიდიოდა წინ, არ იცოდა უკან დახევა და შიში. მისი შემოქმედებითი ევოლუციის ხაზი ყოველთვის აღმავალი გზით მიიმართებოდა, სწრაფად უახლოვდებოდა პროლეტარიატის მეცნიერულ სოფლმხედველობას და სულ მალე მივიდა რევოლუციურ პროლეტარიატთან, მის ავანგარდთან და სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ცხოვრება და შემოქმედება ამ ავანგარდის საბრძოლო მიზნებს.

დევეგმირულმა ნებისყოფამ, დიდმა ნიჭმა, ფართო ინტელექტუალურმა პოტენციამ, მხატვრული სიტყვის ძალამ გადააქცია მწერალი მსოფლიო მუშათა კლასისა და მშრომელთა ყველაზე საყვარელ ადამიანად მხატვრული სიტყვის თანამედროვე ოსტატებიდან და მუხლი მოადრეკინა ბურჟუაზიულ მსოფლიოს მის წინაშე, აიძულა ის აღეარებინა გორკის სიდიადე და მისი მხატვრული შემოქმედების ცხოველმყოფელური ძალა. მ. გორკიმ თავიდანვე დაიკავა ერთი პირველი ადგილთაგანი რუსულ მწერლობაში და შემდეგ საყოველთაოდ აღიარებულ მსოფლიო მწერალთა შორის, გახდა რუსული ლიტერატურის შესანიშნავი კლასიკოსი, რომლის მხატვრული ჭიტყვაც გაუდენთილი იყო დიდი საკაცობრიო იდეებით.

მ. გორკის როგორც მწერალის, განსაკუთრებული სიდიადე იმაში მდგომარეობს, რომ ის თავიდანვე მტკიცედ დაუკავშირდა რუსეთის მუშათა კლასის ისტორიას, გენიალურად გვიჩვენა ხელოვნებაში ამ კლასის ბრძოლების

ყველა უმნიშვნელოვანესი ეტაპი — რევოლუციური თვითშეგნების პერიოდი-  
დან სოციალისტურ რევოლუციამდე, — რითაც მოუტანა მან „რუსეთის — და  
არა მარტო რუსეთის — მუშათა მოძრაობას, — უდიდესი სარგებლობა“ (ლენინი).

მ. გორკის მხატვრული აზროვნების ძალა მდგომარეობს მოვლენათა ფარ-  
თო რეალურ ხედვაში, უდიდეს მხატვრულობასა და იმ კლასთან განუყრელ  
კავშირში, რომლის ბუნებრივი, შინაგანი მოწოდებით მომდერალი იყოს ის  
სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის პირველ დღიდანვე. მუშათა კლასთან კავ-  
შირმა, ამ კლასის ინტერესებისათვის ბრძოლამ მაქსიმ გორკი განუყრელად  
დააკავშირა ბოლშევიკურ პარტიასთან, გახადა იგი მარქს-ენგელს-ლენინ-სტა-  
ლინის საქმის ერთგული, ლენინისა და სტალინის უახლოესი თანა-  
მებრძოლი და მეგობარი. „ჩვენი ქვეყნის, და არც სხვა ქვეყნის არც ერთი  
მსხვილი მწერალი არ იცნობდა ასე ახლოს ხალხის „ქვედა ფენების“ ცხოვ-  
რებას კაპიტალიზმის დროს, არც ერთ მათგანს არ განუცდია თავის თავზე  
იმდენი სისასტიკე და სისაზიზღრე ბატონ ექსპლოატატორთა მხრივ, არც ერთ  
მათგანს საკუთარი თვლით არც კი უნახავს მონური შრომით იმდენი განა-  
წამები და კაპიტალის ჩაგვრით დაბეჩავებული, როგორც ჩვენს გორკის, რო-  
მელშიც ყოველივე ამან გამოსჭედა კაპიტალისტური წყობილებისადმი შეუ-  
რიგებლობა და რევოლუციური სიძულვილი და კომუნიზმის გამათავისუფლე-  
ბელი ძალის ურყევი რწმენა“ (მოლოტოვი).

შემოქმედებით ასპარეზზე გორკი 90-იან წლებში გამოვიდა. ამ პერიოდში  
ყველაზე კარგად ის ფსკერის, სოციალური ჩარჩოებიდან ამოვარდნილ ადა-  
მიანებს იცნობდა, კარგად იცოდა „ბოსიაკთა“ ცხოვრება და ამ უკანასკნელთ  
ასახავდა უმთავრესად თავის პირვანდელ შემოქმედებაში. ამ ადამიანთა წრე-  
ში ეძებდა მწერალი გაბედულთ, ძლიერთ, თავისუფლების მოყვარულთ, რომ-  
ლებიც მკვეთრად განსხვავდებოდნენ წვრილმესაკუთრებისაკენ მიმსწრაფველ  
მონური ფსიქოლოგიის სოფლის ღარიბებისაგან. ამ პერიოდის ნაწარმოებთა  
რიცხვს ეკუთვნის „მაკარ ჩუდრა“, „მოხუცი იზერგილი“, „ჩელკაში“, „სიმ-  
ღერა შევარდენზე“ და სხვ. აქედან ყველაზე ტიპიური და მნიშვნელოვანია  
„ჩელკაში“ (1894 წ.) და „სიმღერა შევარდენზე“ (1895 წ.). პირველ მოთხრო-  
ბაში ნაჩვენებია ერთის მხრივ ქურდი და ლოთი, თავისი სოციალური მდგო-  
მარეობით ლუმპენ-პროლეტარი, რომელსაც კავშირი დაუკარგავს თავის კლას-  
თან, — „ბოსიაკი“ ჩელკაში. მეორე მხრივ გლენი გავრილა, რომელიც წამო-  
სულა სოფლიდან ფულის საშოვნელად.

ამ პერიოდში მწერალი ჯერ კიდევ არ იცნობდა პროლეტარიატს, რო-  
გორც თავისუფლებისათვის მებრძოლ ძალას. მას თავისუფლებისთვის მებრძო-  
ლად გამოჰყავდა ლუმპენ-პროლეტარი, რაც თავისთავად არ არის სწორი.  
მაგრამ არსებითად ხაზგასმულია ის, რომ სოციალური თავისუფლება გორკიმ  
თავიდანვე თავის შემოქმედების მთავარ იდეალად აღიარა და ამ გარემოებას  
ის დღეს თუ ხვალ უცილებლად უნდა მიეყვანა პროლეტარიატის, როგორც  
ყველაზე რევოლუციური კლასის ცნობამდე.

პირვანდელ ნაწარმოებებში გორკის სახით ჩვენს წინაშე იდგა მხატვარი  
რომანტიკოსი, რომელსაც შემოქმედებით პოტენციასთან ერთად გააჩნდა დიდი  
ფანტაზიის ძალა. ტიპიურ ადამიანებთან ერთად გორკი ჰქმნიდა არაჩვეულებ-  
რივ გმირებსა და სიტუაციებს, რომელნიც არ გვეხატებოდნენ ჩვეულებრივის  
პარალელურად, სინამდვილის უშუალო სახეებად. მწერალი მიისწრაფოდა გა-  
მოეხატა თავისი დაუდგრომელი პროტესტი კაპიტალისტური წყობის წინააღ-  
მდეგ, წინააღმდეგ საშინელი და მახინჯი ცხოვრებისა, რომელიც ალატაკებდა

და სპობდა ადამიანს. საბრალო წვრილ კერძო მესაკუთრეს, მშიშვარა ობივ-ტელს უპირდაპირებდა ის თავისუფლების მოყვარულ, მამაც და ძალოვან გმირებს ფანტაზიის სამყაროდან, მაგრამ ყოველივე ეს დიდი მწერლის მხატვრულ ინსტიქტში ისეთი ძლიერებით მუშავდებოდა და მრავლად შეიცავდა თავისში რეალიზმის ელემენტებს, რომ მკითხველი გრძნობდა სოციალური სიმართლის ნაწილს და მოწოდებას მოქმედებისაკენ, ბრძოლისაკენ. მართალია, გორკის მსოფლმხედველობა მაშინ არ იყო პროლეტარულ-რევოლუციური, მარქსისტული, მაგრამ საზოგადოებრივი მოვლენებისადმი მისი დამოკიდებულება მაინც გარკვეული, ნათელი და პირდაპირი იყო. ის უარყოფითად აფასებდა ერთს, დადებითად მეორეს. მწერალი საკუთარი აზროვნების ლოგიკით უდგებოდა ცალკეულ ფაქტს, რის გამოც ხშირად მიმართავდა ერთგვარ წონასწორობის დარღვევას, გადაჭარბებულად იძლეოდა თავისი გმირის ამათუიმ თვისებას და უფრო ხშირად გვიხატავდა თავის დამოკიდებულებას, აზრს. ცხოვრებაზე, ვინემ ცხოვრების ზუსტ სურათებს, არსებულის წინააღმდეგ ნამდვილად მებრძოლ ტიპებს.

გორკის რომანტიზმი მკვეთრად განსხვავებული ხასიათისა იყო. წინააღმდეგ ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული რომანტიზმისა, რომელიც დიკავშირებული იყო დეკადენტურ, ანტისაზოგადოებრივ განწყობილებასთან, სინამდვილიდან გაქცევასთან, რელიგიურ-მისტიურ რწმენასთან, გორკის რომანტიზმი ატარებს რევოლუციურ, მომქმედ, საბრძოლო ხასიათს, არ ეწინააღმდეგება სინამდვილეს. გორკის თვით ამ რომანტიკულ ნაწარმოებებშიც მოცემულია რეალური და სწორი, ძალიან ხშირად ტიპური სურათები, სახეები, ამიტომ ისინი, მიუხედავად რომანტიკულობისა, დიდ გამარეოლუციონერებელ როლს ასრულებდნენ. კერძოთ „სიმღერა შევარდენზე“ ბრძოლისაკენ ძლიერ მოწოდებად გაისმოდა. მწერალმა ამ პირველ ნაწარმოებებით შექმნა რევოლუციური რომანტიზმის ნიმუშები, საიდანაც ის ადვილად გადავიდა სოციალისტურ რეალიზმზე.

მ. გორკის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა დაემთხვა სწორედ იმ პერიოდს, როცა რუსეთის პროლეტარიატი გამოდიოდა ახალგაზრდობის ასაკიდან, გადადიოდა რევოლუციური ბრძოლების ახალ ეტაპზე, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო სავსებით თავისუფალი სიყმაწვილის სენისაგან. ამ საზოგადოებრივმა მოვლენამ განსაზღვრა არსებითად გორკის შემოქმედების რომანტიკული ხასიათი. მაგრამ სულ მალე და სწრაფად დაიწყო რა რუსეთის მუშათა კლასმა რევოლუციური დავაუკაცება, გორკიც 90-იანი წლების დასასრულსა და მეოცე საუკუნის დასაწყისის მიჯნაზე ამთავრებს რომანტიკულ პერიოდს და იწყებს ახალს. ეს იყო ვლ. ლენინის ხელმძღვანელობით მუშათა მებრძოლი რევოლუციური ორგანიზაციებისა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ჩასახვის ეპოქა.

ახალი ეტაპის მსაზღვრელად გორკის შემოქმედებაში უნდა მივიჩნიოთ საყოველთაოდ ცნობილი შესანიშნავი ნაწარმოები — „სიმღერა გრიგალაზე“ (1901 წ.). ეს „სიმღერა“ დაწერილია მაშინ, როცა პირველი რევოლუციის ქარიშხალი ამოვარდნას აპირებდა, მისი წინასწარი ზუზუნნი არემარეს „აყრუებდა“. ამ ნაწარმოებში ბუნების მოვლენებიდან აღებულ რამოდენიმედ აღევგორიულ, მაგრამ ნათელ და აშკარა სახეებში მწერალი იძლევა კლასობრივ ძალთა განწყობილების მკვეთრ დახასიათებას და რევოლუციური სიტუაციის სურათს. მწერალი გრძნობს ქარიშხლის, რევოლუციის მოახლოვებას, იგი გამოდის მის გაუწყებლად, ნერგავს მუშათა კლასში რწმენას და საბრძოლო გან-

წყობილებას. გრიგალის სახით რევოლუციური პროლეტარიატი ესალმება ქარიშხალს, იგი აღფრთოვანებულია და გამოხატავს ერთგვარ მზადყოფნას. მაგრამ ამის გვერდით მწერალმა, როგორც დიდმა რეალისტმა დახატა კიდევ ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ელემენტები პინგვინების, ზღვის იხვების, თევზიყლაპიების სახით, რომელთაც ეწინააღმდეგება რევოლუციისა და ცდილობენ ჩასუქებული ტანი ფრიალო კლდეს შეაფარონ, წყნარად და უხიფათოდ იცხოვრონ. „სიმღერა“ მთავრდება მგზნებარე მოწოდებით: „დეე, მძლავრად იგრილოს ქარიშხალმა!“

მ. გორკის ამ „სიმღერამ“, სადაც შესანიშნავად იყო ნაჩვენები მუშათა რევოლუციური განწყობილება, ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ობიექტელშინის ბუნება, ძლიერი გავლენა იქონია რევოლუციურ მასებზე. მწერალის მოწოდებას გამოეხმაურნენ ქვეყნის ყველა კუთხიდან, ამ მოწოდებით დაასრულა თავისი წერილი „ქარიშხლის წინ“ ვ. ლენინმა 1906 წელს (იხ. ტ. 10, გვ. 29).

მ. გორკის უკვე ღრმად ჰქონდა შეცნობილი, რომ მშრომელთა მხოლოდ მასობრივ მოძრაობას პროლეტარიატისა და მისი პარტიის ხელმძღვანელობით შეუძლია გაიმარჯვოს და გაათავისუფლოს კაცობრიობა კაპიტალიზმის მონობისაგან. ამ შეგნების ყველაზე რეალისტური, რევოლუციურად გამართლებული, ისტორიულად და ფსიქოლოგიურად დამაჯერებელი მხატვრული ნაყოფია რომანი „დედა“ (1906 — 1907 წ.წ.).

90-იან წლებში მ. გორკი მჭიდროდ დაუკავშირდა ლენინის ხელმძღვანელობით არსებულ მუშათა ორგანიზაციებს, რევოლუციურ მოძრაობას და ამ დროიდან დაიწყო მან რომანისთვის მასალის დაგროვება. რომანისთვის მასალის დაგროვებაში განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა 1905 წლის რევოლუციის მომზადებამ და თვით რევოლუციამ. რომანში ჩვენს წინაშე სდგას უკვე ღრმად მოაზროვნე რევოლუციონერი მწერალი, რომელიც შეიარაღებულია არა მარტო ცხოვრების პრაქტიკული ცოდნით, მუშათა მოძრაობის გამოცდილებით, არამედ რევოლუციური — მარქსისტულ-ლენინური სოფლმხედველობითაც.

რომანის დაწერის დროს მწერალს გზას უნათებდა რევოლუციის გამოცდილება და ლენინისა და ბოლშევიკების ბრძოლა რევოლუციისა და რეაქციის წლებში მასების რევოლუციური მომზადებისათვის, არალეგალური ორგანიზაციების შენარჩუნებისათვის და მენშევიკ-ლიკვიდატორებისა და „ნახევრად“ ლიკვიდატორების წინააღმდეგ, რომლებიც შეცდომად სთვლიდნენ იარაღისთვის ხელის მოკიდებას და ცდილობდნენ მასების შეგნების გახრწნას. რომანში დახატულია მე-20 საუკუნის დასაწყისის მუშათა მოძრაობის ცოცხალი სურათი, ნაჩვენებია თუ როგორ აღვიძებდა ყოველდღიურად მილიონებს საშინელი ექსპლოატაცია და აბამდა მათ ბრძოლაში არსებული სინამდვილის რევოლუციურად გარდაქმნისთვის, როგორ მადლდებოდა მუშათა პოლიტიკური შეგნება, როგორ აყენებდნენ მუშები თავიანთ მოთხოვნილებებში პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნებს. მუშა რევოლუციონერი პავლე ვლასოვი გაბედულად აცხადებს: „ჩვენ არა მარტო ჰამა გვინდა, ჩვენ გვინდა ცხოვრება ისე, როგორც ადამიანის ღირსებას შეჰფერისო“ — ამ სიტყვებში მოსჩანს რუსეთის რევოლუციური პროლეტარიატის სიმართლე, ბოლშევიკური რწმენა, სიმტკიცე, რომელმაც უზრუნველყო შემდეგში დიდი სოციალისტური რევოლუციის ძლევამოსილი გამარჯვება.



მეორე დიდი მხატვრული ტილო, სადაც გადაშლილია მესამედი საუკუნის რევოლუციური მოძრაობის ცოცხალ პანორამული სურათი 1917 წლის სოციალისტურ რევოლუციამდე არის „კლიმ სამგინის ცხოვრება“. აქ მწერალმა გასაოცარი სიმართლით და მხატვრული სიძლიერით დახატა რუსეთის პროლეტარიატის მრავალი წლის ბრძოლა სოციალიზმისათვის და წვრილბურჟუაზიული ობივატელ „რევოლუციონერთა“ ტიპები, რომელნიც ყოველ წუთში ამუღავნებდნენ სიმხდალეს, ეზინოდათ ბრძოლისა და რევოლუციის ქარიშხლას ქროლვის, ყოველ კონკრეტულ მომენტში მწარე შინაგან კრუნჩხვას განიცდიან. ამ სოციალური შიშის გამო ვერც სცილდებიან რევოლუციას, ვერც ორგანიულად მიდიან მასთან. რევოლუციის ტალღებს ზევით ქანაობენ და მზად არიან საჭირო შემთხვევაში გასცენ ის. ასეთ ადამიანთა ტიპური წარმომადგენელია კლიმ სამგინი. ის იღუპება 1917 წელს, მაგრამ მისი გველური სისინი განუწყვეტლივ გაისმოდა ფაშინის მოსყიდული აგენტების—ტროცკისტ-ბუხარინელთა თავებში.

\*

\* \*

მაქსიმ გორკი არის მეოცე საუკუნის მსოფლიო ლიტერატურაში შესანიშნავი ხელოვანი, რომელიც გასაოცრად ფლობს ადამიანის სულის სიღრმეს, ცხოვრების დიალექტიკურ პროცესს. მისი მხატვრული კალამი პოლიტიკურ შუქით ანათებს სინამდვილის იმ „კუნჭულებს“, სადაც იწყება და „მთავრდება“ ადამიანთა ცხოვრება. როგორც მხატვარი გორკი დიდია იმით, რომ მას შეუძლიან გვიჩვენოს მთავარი და არსებითი, ისე, რომ გაგვაცდევინოს დამახასიათებელი „წვრილმანებიც“ და პირიქით, — „წვრილმანების“ საშუალებითაც. ის აღწევს ჩავახედოს მოვლენის სოციალურ სიღრმეში, გვიჩვენოს მისი არსებითი მხარე და შეჰქმნას განუმეორებელი მხატვრული სურათები და სახეები ოსტატობის ისეთი ძალით, რომ ისინი სამუდამოდ დარჩნენ ჩვენს ცნობიერებაში და მოქმედებდნენ ჩვენს გრძნობასა და აზრზე. გორკი ფუძემდებელია სოციალისტური რეალიზმისა და პროლეტარული ლიტერატურის; მან პირველმა ასახა სრული სიმართლით თავის ნაწარმოებებში („ურჩი“, „მეშინებები“, „თომა გორდევი“, „მტრები“, „სამნი“, „დედა“, „ხალხში“, „კოჟემიაკინის ცხოვრება“, „არტამონოვების საქმე“, „კლიმ სამგინის ცხოვრება“ და სხვ.) ფეოდალურ-ბურჟუაზიული რუსეთის სინამდვილე, მუშათა კლასის მძიმე, დამცირებული და უუფლებო მდგომარეობა, უჩვენა უკანასკნელს განთავისუფლების რევოლუციური პერსპექტივა — შემჭიდროება საკუთარი პარტიის გარშემო და გაბატონებული წყობილების ძალდატანებითი დამხობის აუცილებლობა. გორკის რეალისტური მეთოდის განსაკუთრებული რევოლუციური მნიშვნელობა სწორედ ისაა, რომ ის მხოლოდ კი არ ასწერს სინამდვილეს, არამედ, როგორც მოაზროვნე მწერალი, რომელიც არ კმაყოფილდება მხატვრის ინსტიქტით, იძლევა პერსპექტივის ნათელ სურათებს, მოვლენის შეფასებას, მოუწოდებს მკითხველს პრაქტიკული მოქმედებისკენ, ბრძოლისკენ და ამ ბრძოლაში თვითონაც აქტიურ მონაწილეობას იღებს.

მ. გორკი კულტურული კაცობრიობის ყურადღებას იქცევს მებრძოლი ჰუმანიზმითაც. გორკიმ მწერლობაში თავისი მხატვრული და პუბლიცისტური ნაწარმოებებით სათავე მისცა პროლეტარულ ჰუმანიზმს. მან დაარღვია წვრილბურჟუაზიული ჰუმანიზმის ვიწრო საზღვრები, რომელშიც ჩვეულებრივად სულს ვერ იბრუნებდა ადამიანი და კვლავინდებურად შელახულ და

შეზღუდული რჩებოდა მისი ადამიანური ღირსებანი. მ. გორკიმ პიროვნების, როგორც ადამიანის, თავისუფლება უშუალოდ დაუკავშირა კლასობრივ ბრძოლას, სოციალისტურ რევოლუციას. ამ უკანასკნელში ხედავდა იგი ადამიანის თავისუფლების აუცილებელ პირობას. პიროვნების დამცირების საფუძვლად მას სამართლიანად მიაჩნდა კაპიტალისტური ურთიერთობა. როცა შრომა სავალდებულოა, ამბობს მწერალი, ცხოვრება მონობაა, ცხოვრება კარგია მაშინ, როცა შრომა სიამოვნებააო. გორკის ყველაზე უკეთესად ესმოდა მსოფლიო მწერალთა შორის რომ „სიხარული ადამიანზე — ეს უდიდესი სიხარულია დედამიწაზე“, რომ „ყველაფერი ადამიანშია — ყველაფერი ადამიანისთვისაა“. მაგრამ სიმაართლეს ის შეცოდებაზე მალა აყენებდა. თავის ერთერთ მხატვრულ ნაწარმოებში („ხალხში“) მწერალი პირდაპირ ამბობს: მე ძალიან მიყვარს ადამიანები და მე არ შემიძლიან ვინმე გავწვავალო, მაგრამ არ შეიძლება იყო სანტიმენტალური და არ შეიძლება დადარო საშინელი სიმაართლე. ამ საშინელ სიმაართლეში ის გულისხმობდა კაპიტალისტური ჩაგვრის ფაქტს, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას. და აქ მასში, როგორც დიდ რუსულისტსა და პროლეტარულ მწერალში აუცილებლად უნდა აღძრულიყო სიყვარულისა და სიძულვილის გრძნობა, რადგან ამ ორი გრძნობის გარეშე კლასობრივ საზოგადოებაში არ შეიძლება არსებობდეს ნამდვილი ჰუმანიზმი, ადამიანის გულწრფელი სიყვარული. თვით გორკი გვასწავლის რომ „სიძულვილის გარეშე არ არსებობს გულწრფელი სიყვარული!“ უნდა გულწრფელად გიყვარდეს ადამიანი, მაგრამ რომ გიყვარდეს ადამიანი, უნდა გძულდეს ყველა და ყველაფერი, რაც ადამიანს სჩაგრავს.

მ. გორკის ჰუმანიზმი, რომელსაც შეთვისებული ჰქონდა მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრება, არ შეიძლებოდა ყოფილიყო პაციფისტური ხასიათის, აბსტრაქტულად კაცთმოყვარე. ერთერთ ნაწარმოებში მომქმედ პირს გორკიმ ათქმევინა, რომ „ადამიანი — ეს ამაყად ეღერსო“. ამიტომ ეს ადამიანი მას უყვარდა უზომოდ, როგორც არავის. მის ჰუმანიტურ სულს ადამიანის სიყვარულის ალი სწვავდა, იგი დაუსრულებლივ იბრძოდა და მიისწრაფოდა პიროვნების, როგორც ადამიანის, განთავისუფლებისკენ. ეს ბრძოლა დიდმა მწერალმა უფრო ძლიერად გააჩაღა მსოფლიოს მასშტაბით თავის პუბლიცისტურ წერილებში, როცა რუსეთის სოციალისტური რევოლუციის კონკრეტულ მაგალითზე დაინახა ადამიანის თავისუფლების რეალური განხორციელება.

გორკის ჰუმანიზმის თავისებურება, მისი პროლეტარულ-სოციალისტური ხასიათი იმაში მდგომარეობს, რომ მას სიყვარულთან ერთად სიძულვილიც შეეძლო. გორკის სძულდა ძველი რუსეთი, მას სძულდა კაპიტალისტური მსოფლიო, ფაშიზმი თავისი ერთგული ლაქიებით, გორკის სძულდა ტროცკისტი და მემარჯვენე კონტრრევოლუციონერი მახინჯები, როგორც ხალხისა და ჰუმანიზმის შეურიგებელი მტრები. ადამიანის თავისუფლების, ჰუმანიზმის გამარჯვების საწინდრად გორკი ხალხის მტრების განადგურებას, ექსპლოატატორული მსოფლიოს, ბოროტების ამ წყაროს, დამხობას, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას სთვლიდა. „ცხოვრების აზრი, — ამბობდა ის — რევოლუციისათვის სამსახურია“.

ადამიანის ინტერესებისათვის დიდი მწერალი არავითარ საშუალებაზე არ ამბობდა უარს, რაგინდ სასტიკი არ უნდა ყოფილიყო ის. „მტერი, როცა არ გნებდება, უნდა გაანადგურო“ — ამბობდა იგი. გორკის ეს ცეცხლოვანი მოწოდება ვრცელდებოდა მსოფლიოში და მისი სახელის გარშემო იკრიბებოდა მთელი კულტურული, პროგრესული კაცობრიობა.

მ. გორკი იყო დიდი სტალინის მეგობარი და თანამებრძოლი. როგორც სტალინის მეგობარი, კომუნიზმისათვის შეუპოვარი მებრძოლი, თანამიმდევარი რევოლუციონერი, სოციალისტური სამშობლოს გარშემო კულტურულ-პროგრესიული კაცობრიობის დამრავმელი — სოციალისტური რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნის როლს ასრულებდა მსოფლიოში. მისი გავლენა მსოფლიოს ხალხებზე აღემატებოდა ყველა სხვა თანამედროვე დიდი მწერლის გავლენას.

სწორედ ამიტომ ამოიღეს მიზანში ფაშიზმის პირისხლიანმა აგენტებმა — ტროცკისტ-ბუხარინელებმა — ეს დიდი ადამიანი, ადამიანთა დიდი მეგობარი ბოროტების შეურიგებელი მტერი.

მ. გორკი მოჰკლეს ხალხის მტრებმა, გარეწარმა ტროცკისტ-ბუხარინელებმა. მაგრამ ის საქმე, რომელსაც დაუთალავად ემსახურებოდა ჩვენი ეპოქის უდიდესი მწერალი, მუდამ იცოცხლებს და საბოლოოდ გაიმარჯვებს. ქვეყნის ყველა კუთხეში ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით.

## კაცობრიობის სახელოვანი ჯარისკაცი

არიან ისტორიაში პიროვნებები, რომლებიც გმირული ცხოვრებით სცილდებიან თავიანთი ქვეყნის ნაციონალურ ფარგლებს და შედიან კაცობრიობის ისტორიაში, როგორც მსოფლიო მოქალაქენი, მსოფლიო გმირები.

რომელი ქვეყნის და ხალხის გმირია, მაგალითად, ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლებში დაღუპული, ესპანეთის სახალხო არმიის ერთ-ერთი გამოჩენილი რევოლუციონერი გენერალი, უნგრეთის მწვერალი მათე ზალკა, პაულ ლუკაჩის სახელით ცნობილი?

მათე ზალკას ცხოვრება ლეგენდას გავს. ჩამომავლობით უნგრელმა, მხოლოდ ახალგაზრდობა გაატარა თავის ლამაზ სამშობლოს ბუნებაში, უსაზღვროდ შეყვარებულს თავის სამშობლოსადმი, თავისი შრომის მოყვარული და ჩაგრული უნგრელი ხალხისადმი — მას წილად არ ხვდა დიდხანს ეცხოვრა თავის სამშობლოში. ზალკა ჯერ კიდევ მოწაფე იყო, როდესაც სკოლის მერხიდან თავი უკრეს იმპერიალისტური ომის ქარცეცხლში. ისედაც მგზნებარე და ძიებით აღსავსე ყმაწვილზე უდიდესი შემადრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა ომის საშინელებამ, ადამიანთა ხოცვა-ჟლეტის სინამდვილემ.

იმპერიალისტური ომის დროს ზალკა სამხედრო ტყვედ მოყვო რუსეთში, ცხოვრობდა, როგორც სხვა მრავალი სამხედრო ტყვე ჯარისკაცი საშინელ პირობებში ციმბირის საკონცენტრაციო ბანაკში, და ვინ იცის რით დამთავრდებოდა მისი ცხოვრება, რომ არ მომხდარიყო დიდი სოციალისტური რევოლუცია. მათე ზალკა ფხიზლად შეხვდა მისთვის უცხო ხალხის მიწაწყალზე მომხდარ დიდ სოციალურ გარდატეხას, ის არ დაიბნა, არ ისურვა ყოფილიყო დიდი ისტორიული ამბების უბრალო მაყურებელი, არამედ განიზრახა მასში მონაწილეობის მიღება.

ამ ხნიდან იწყება სწორედ მათე ზალკას რევოლუციური გმირობის ისტორია. იგი გახდა რევოლუციის ერთგული ჯარისკაცი და

როგორც დაუდგრომელი და ცოცხალი ბუნების ადამიანი, შეიქმნა სახელოვანი მეომარი. ჯერ კიდევ შორეულ ჩრდილოეთში ყოფნის დროს ზალკამ შეადგინა სამხედრო ტყვეებისაგან ინტერნაციონალური ლეგიონი და მონაწილეობა მიიღო თეთრგვარდიელთა ბანდების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ბრძოლებში მისი ბედი ბევრჯერ ბეწვზე ეკიდა. იყო შემთხვევა, როდესაც თეთრგვარდიელებმა დასახვრეტად გაიყვანეს იგი. საკუთარი ხელით გაათხრევინეს სამარე, მაგრამ ზალკამ მაინც დააღწია თავი. ზალკას იმ დროინდელი ცხოვრება და ბრძოლა იმდენად საინტერესოა, რომ მან უკვე მხატვრულ მწერლობაშიც იპოვა გამოხატულება. „როგორ იწრთობოდა ფოლადის“ ცნობილმა ავტორმა ნ. ოსტროვსკიმ თავის მეორე წიგნში „ქარიშხლით შობილნი“ შესანიშნავად აღწერა ზალკას გარეგოლუციონერების ეპიზოდები. ერთ იმ ეპიზოდთაგანია ზალკას პარტიზანული ბრძოლა ჩეხებთან, რომელთაც მან წაართვა დიდძალი ოქროს მარაგი და ლენინს გადასცა.

იმპერიალისტური ომის დროს ზალკა ოთხჯერ იყო დაჭრილი, სამოქალაქო ომის დროს შეიღვეა. რუსეთის სამოქალაქო ომში ზალკა აქტიურად იბრძოდა. არ დარჩენილა ფრონტი, სადაც არ მივლს მას მონაწილეობა. იგი იბრძოდა პოლონეთის ფრონტზე, მონაწილეობდა ვრანგელის განადგურებაში, მახნოსა და პეტლურას ბანდების წინააღმდეგ.

მათე ზალკას სახელი ქართველი ხალხისათვისაც არაა უცნობი. იგი 1928 წელს იღებდა მონაწილეობას როგორც დელეგატი საერთაშორისო რევოლუციურ მწერალთა თბილისის პლენუმზე. ზალკას წინადაც იცნობდნენ ზენში, როგორც „მარადიული ზავის“ ავტორს, მაგრამ თბილისის პლენუმზე მონაწილეობა არ იყო ზალკასთვის სტუმრობა, იგი აქტიური მონაწილე იყო 1921 წლის იმ ძმური დახმარებისა, რომელიც გაუწია ქართველ ხალხს წითელმა არმიამ საქართველოდან მენშევიკების განდევნაში. მათე ზალკა მაშინ წითელი არმიის მეთაური იყო და გმირულად ებრძოდა მენშევიკურ გვარდიას და გოგუაძის ბანდიტურ ჯავშნოსან მატარებელს.

ამ ფაქტს ზალკა შემდეგში ყოველთვის უდიდესი სიამოვნებით იგონებდა და კიდევ ამაყოფილებდა იმით, რომ მონაწილეობა მიიღო იმ ხალხის განთავისუფლებაში, რომლის სამშობლომ კაცობრიობას მისცა ისეთი გენია, როგორიცაა დიდი სტალინი.

სამოქალაქო ომებში რევოლუციის წინაშე გმირული დამსახურებისათვის ზალკა დაჯილდოვებული იყო წითელი დროშის ორდენით. იგი იყო მტკიცე კომუნისტი, ნამდვილი ინტერნაციონალისტი.

ტი, დაუდგრომელი და უშიშარი მებრძოლი და რა გასაკვირველია, რომ ასეთ ადამიანს, მებრძოლ მწერალ კომუნისტს, ევროპის ერთ-ერთი დაჩაგრული ხალხის შვილს, რუსეთის სამოქალაქო ომების გმირს არ ატოკებოდა გული ესპანეთის ხალხის ბედნიერებისათვის, კაცობრიობის საზიზღარი მტრების — ფაშისტების წინააღმდეგ. ამის შედეგი იყო, რომ მათე ზალკა ჩავიდა ესპანეთში და მონაწილეობა მიიღო მადრიდის დაცვაში, და სხვა მნიშვნელოვან ფრონტებზე, როგორც ესპანეთის სახალხო არმიის ერთერთმა ხელმძღვანელმა.

ახლა უკვე მთელი მსოფლიო იცნობს მათე ზალკას სახელს. მან თავისი სამხედრო ნიჭითა და გამბედაობით ლეგენდარული გმირის სახელი მოიხვეჭა. უამრავ მოგონებებში, რომელნიც დაიწერა ზალკას სიკვდილის გამო, ყველგან ხაზგასმულია მისი ვაჟკაცობა და ის დიდი თვისება, რითაც ის პირველ შეხვედრიდანვე ხიბლავდა ადამიანს. ადამიანური კეთილშობილება, საოცარი უბრალოება, მეგობრობის გრძნობა, აი რა თვისება ახასიათებდა მას. ამ თვისებებისთვის უყვარდათ იგი საბჭოთა მწერლების წრეში. ხალისიანი და ენამახვილი ადამიანისა და ნიჭიერი და უშიშარი ანტიფაშისტი, რესპუბლიკელი გენერლის სახელი დასტოვა მათე ზალკამ ესპანეთში. „ზალკაში გაერთიანებული იყო მეომარი, მეთაური და მგრძნობიარე, გულთბილი ადამიანი“, ამბობს ზალკას შესახებ მ. კოლცოვი. თავის მოგონებაში ზალკასთან შეხვედრის შესახებ, ესპანელი კაპიტანი ენრიკო მონტერო იგონებს ამბავს, თუ რას უამბობდნენ მას მეგობრები ზალკას შესახებ როგორც „ფრონტის იმ ოხუნჯზე, რომლის გამაყრუებელი სიცილი პალასეტის გაღმაც გაისმოდა — ინტერნაციონალური — ბრიგადის ლეგენდარული სარდლის ლუკაჩის შესახებ, რომელიც ჩამოსულა ჩვენი მიწის დასაცავად“. („კომსო-შოლ. პრავდა“ 1937 წ. 2-XI. „შეხვედრა გენერალ ლუკაჩთან“)

რისთვის ჩავიდა ესპანეთში მათე ზალკა? ამაზე შეიძლება ვუპასუხოთ ამერიკელი მწერლის ე. სინკლერის თქმით: „იტალიელები ჩავიდნენ მუსოლინის წინააღმდეგ საბრძოლველად, გერმანელები — ჰიტლერის წინააღმდეგ, ყველანი ერთად კი — ესპანეთის ხალხის თავისუფლებისათვის საბრძოლველად“, მაგრამ რამდენადაც ინტერნაციონალური ბრიგადები შესდგებოდა არა მარტო იტალიელი და გერმანელი ანტიფაშისტებისა და რევოლუციონერებისაგან, არამედ მასში თავს იყრიდნენ სხვადასხვა ერების მებრძოლი შვილები — ამერიკელები, ინგლისელები, პოლონელები, ბელგიელები, ავსტრიელები, უნგრელები, რა გასაკვირია, რომ მათ შორის მათე ზალკაც ყოფილიყო, როგორც უნგრეთის ხალხის შვილი, მწერალი — კომუნისტი, ფაშიზმის მტერი.

ინტერნაციონალური სოლიდარობისა და კომუნისტური შეგნებით იბრძოდა მათე ზალკა რუსეთის დიდი სოციალისტური რევოლუციისთვის, ამავე შეგნებამ მიიყვანა იგი ესპანეთამდე. კაცობრიობას არასდროს არ შეუძლია დაივიწყოს ინტერნაციონალური სოლიდარობის ის უჩვეულო მაგალითი, რომელიც ჩასწერეს კაცობრიობის თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაში ინტერნაციონალური არმიის მებრძოლებმა. მას არ შეუძლია დაივიწყოს იმ ადამიანის სახელიც, რომელმაც გმირულად შესწირა თავი თავისუფლებისთვის ბრძოლას. შესანიშნავად სწერდა ზალკას სიკვდილის გამო ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანო "მუნდო ობრერო". „ლუკაჩი დიდი მებრძოლი კომუნისტი. სახალხო არმიის საყვარელი ხელმძღვანელი, გმირი ყველაზე მძიმე ბრძოლისა ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის, რომელიც მისი სამშობლო გახდა. ჩამოვიდა ესპანეთში, რომ გავემარჯვნა სიკვდილზე. იგი დაეცა, მაგრამ ყველა მისი მებრძოლი, მთელი არმია, მთელი ესპანეთის ხალხი მიუძღვნის მას გემარჯვებას. როდესაც გავემარჯვებთ, ჩვენს ყველაზე დიად დროშას აღვმართავთ მის საფლავზე“.

ზალკას სახელს ვერ დაივიწყებ, არა თუ ესპანეთის ხალხი, სადაც იგი დაიღუპა გმირულად და მის მიწაში განისვენებს, არამედ პროგრესიული კაცობრიობა — როგორც თავისუფლების რაინდს, კომუნიზმისთვის მებრძოლ დიდ ჯარისკაცს. მის სახელს ვერ დაივიწყებ ვერც საბჭოთა ხალხი, რომლის ბედნიერებისთვის მან ბევრი იბრძოლა, მაგრამ მათე ზალკა იყო არა მარტო მებრძოლი სარდალდი, სამხედრო ნიჭითა და ვაჟაკობით დაჯილდოვებული, არამედ ნიჭიერი მწერალი, რეალისტი მხატვარი, რომელიც ოსტატურად აერთიანებდა თავის თავში მხატვარსა და მეომარს.

მათე ზალკა, როგორც მწერალი დაიბადა მსოფლიო ომისა და დიდი რევოლუციის პირობებში. ჯერ კიდევ, სანამ სამხედრო ფარაჯას ჩაიცვამდა, თვრამეტი წლის ყმაწვილი სწერდა ლექსებსა და მოთხრობებს, მაგრამ იმპერიალისტურმა ომმა არ დააცალა ახალგაზრდა პოეტს გაჰყოლოდა მწერლობის გზას და გადაისროლა იგი ადამიანთა საშინელი ხოცვა-ჟლეტის სასაკლაოზე. ზალკამ ამ ომში ბევრი გაჭირვება გამოიარა, სანამ გაერკვევოდა თუ რისთვის აიძულებდნენ ებრძოლა. რამოდენიმე წლის შემდეგ როდესაც ისევ დაუბრუნდა მწერლობას, იგი უკვე კომუნისტი იყო ამიტომ მას არ შეეძლო ისევ არ აეღო ხელში მწერლის კალამი როგორც ცხოვრების გამოცდილებითა და შთაბეჭდილებათა მარტივით აღსავსეს, კომუნისტური მსოფლმხედველობით აღჭურვილს.

იმპერიალისტური ომის საშინელებაში გამოვლილს, სამოქალაქო ომების ბრძოლებში გამობრძმედილ ზალკას, — რა გასაკვირია, თავისი შემოქმედების საგნად მსოფლიო ომის საშინელებათა მხილება და რუსეთის სამოქალაქო ომის გმირობის გამოსახვა გაეხადა.

პირველი ნაწარმოები, რომლითაც მძიპყრო ყურადღება ზალკამ, როგორც მწერალმა, იყო მოთხრობა „მარადიული ზავი“. ეს ნაწარმოები ზალკას საყვარელი ნაწარმოებია, მან ამ ნაწარმოებში ჩააქსოვა თავისი სიძულვილი იმპერიალისტური ომისადმი, მის გამჩალებლებისადმი. ამ ნაწარმოებში ზალკამ გვიჩვენა ომის კლასობრივი შინაარსი, ომის საშინელება, მილიონ ადამიანთა სისხლიანი სასაკლავოს სახე, პაციფიზმის მავნებლობა და ხსნა ამ საშინელებიდან ბოლშევიზმში დაინახა.

„მარადიულ ზავს“ მართალია, არ ჰქონია ისეთი რეზონანსი, როგორც ა. ბარბიუსის „ცეცხლს“, მაგრამ თავისი მნიშვნელობით იგი არ ჩამოუვარდება ომის მამხილებელ ისეთ რეალისტურ ტილოებს, როგორიცაა ლ. რენის — „ომი“, დორჟელისის — „ხის ჯვრები,“ ა. პულაილის „ზავი დადებულია“ და სხვ. რომ ზალკა იზრდებოდა შემოქმედებით, როგორც მწერალი, ამისი დამამტკიცებელია მისი უკანასკნელი რომანი „დობერდო“. რომანში აღწერილია იმპერიალისტური ომის ეპიზოდები და უნგრელი ლეიტენანტი ტიბორ მატრასის თავგადასავალი, მის შეგნებაში ომის საწინააღმდეგო განწყობილების გაღვივების ისტორია უბრალო უკმაყოფილებიდან შეგნებული ბრძოლის მომენტამდე. ომის უსამართლობამ, ოფიცერთა გარყვნილებამ, უსინდისობამ, ჯარისკაცთა არა ადამიანურმა ტანჯვა-წამებამ მატრასი მიიყვანა ბოლშევიზმამდე. რომანი თავდება ლეიტენანტი მატრასის მოწოდებით: შენ გამოუცხადე ომი ომს და ახლა მიდიხარ, რომ ჩამოაყალიბო ლეგიონი ამხანაგ-შეგობრებისაგან, რომლებიც შეაბრუნებენ თავიანთი შაშხანების ტუჩებს მტრების წინააღმდეგო. ეს მტრებია ომის ორგანიზატორები, კაპიტალისტები.

„დობერდო“ არა თუ მარტო საინტერესო მხატვრული ნაწარმოებია, არამედ მოწოდება ბრძოლისკენ და გამარჯვების დიდი რწმენა. ეს ის სიძულვილია კაპიტალისტური სამყაროსადმი, ვის წინააღმდეგ ბრძოლამ და სიძულვილმა მიიყვანა „დობერდოს“ ავტორი ესპანეთამდე ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

როგორც მხატვარი, მათე ზალკა რეალისტი იყო. მის ერთადერთ საყვარელ თემას წარმოადგენდა იმპერიალისტური ომის მხილება, რუსეთის სამოქალაქო ომის გმირობა, მაგრამ ამ თემაზე იგი სწერდა მრავალფეროვნად. დიდ მოთხრობებიდან აღსანიშნავია მი-



სი „კუდიანი ვარსკვლავები ბრუნდებიან უკან“. რომანი იმის შტაბსახებ, თუ როგორ ემზადებიან კიევის მახლობლად უნგრელი რევოლუციონერები წითელი არმიის რიგებში მყოფნი, რევოლუციური დახმარება გაუწიონ უნგრეთის ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებას. მაგრამ მათ ეს ვერ შესძლეს და ის ეშელონები, რომლებზედაც კუდიანი ვარსკვლავები ეხატა — იძულებული იყვნენ ბრძოლა განეგრძოთ ისევ რუსეთის რევოლუციის მტრების წინააღმდეგ.

მათე ზალკას პატარა მოთხრობებიდან აღსანიშნავია მისი „უკვდავება“, „სასაფლაოზე“, „გენერალი“, „მარია საბა“, „სტრატეგიული საღამო“, „იუ“ და სხვ. ამ მოთხრობებში ცოცხლად, მახვილად აღწერილია სამოქალაქო ომის საინტერესო ეპიზოდები, ადამიანები, გმირები. ამ მოთხრობებში ზალკა მოსჩანს, როგორც ნიჭიერი მწერალი. ზალკას აქვს ერთი პატარა მოთხრობა სათაურით „ზღვისა და ქარის, მტრებისა და მოკავშირეების და რევოლუციის სტრატეგების შესახებ“. ეს მისი უკანასკნელი მოთხრობაა. მასში გადმოშლილია ნამდვილი ამბავი ვრანგელის განადგურების ისტორიისა. სივარდის ჭაობებში წითელი არმიის გმირული გადასვლის ამბავი. ზალკა ყვება ნამდვილ ფაქტებს, მაგრამ ძალზე მახვილად და ოსტატურად. მოთხრობა თავდება მოწოდებით: „როდესაც თქვენ მიდიხართ დასასვენებლად ყირიმში, ნურას დროს ნუ დაივიწყებთ, რომ სითბო, სინათლე, ზღვა და დასვენების სიხარული თქვენ მოგანიჭათ წითელი არმიის უშიშარმა გმირებმა, რომლებიც რევოლუციის მტრების წინააღმდეგ მიყავდათ საბრძოლველად რევოლუციის უკვდავ სტრატეგებს“.

ამ თბილი, მზიანი და ბედნიერი ცხოვრების მოსანიჭებლად იბრძოდა მათე ზალკა სამოქალაქო ომის წლებში. ამ ბედნიერებისთვის დაიღუპა იგი ესპანეთში ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც კაცობრიობის მეგობარი, უშიშარი და სახელოვანი ჯარისკაცი.

# თანამედროვე საბჭოთა მწერლები

ლევან ასათიანი

## ვალ. გაფრინდაშვილი

ვალერიან გაფრინდაშვილი ქართველი საბჭოთა პოეტების წინა-რევოლუციური ეპოქის თაობას ეკუთვნის. იგი დაიბადა 1890 წელს ქუთაისში, მასწავლებლის ოჯახში. სწავლობდა ჯერ ქუთაისის გიმნაზიაში, შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტში, სადაც დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი. ჯერ კიდევ მოსკოვში ყოფნის პერიოდს, სტუდენტობის ხანას ეკუთვნის მისი პირველი სერიოზული გატაცებები პოეზიითა და ხელოვნებით. სამწერლო ასპარეზზე ვ. გაფრინდაშვილი გამოვიდა მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს. როგორც პოეტი, იგი თავის დროზე ითვლებოდა ქართველი სიმბოლისტების, ეგრეთწოდებული „ცისფერი ყანწების“ ჯგუფის ერთ-ერთ ორგანიზატორად და მთავარ წევრად. მისი პირველი ლექსები დაიბეჭდა ამ ჯგუფის ორგანოში, ჟურნალ „ცისფერ ყანწებში“, რომელიც გამოდიოდა ქუთაისში, 1916 წელს.

ამგვარად ვალერიან გაფრინდაშვილი უკვე ოც წელზე მეტია, რაც ეწევა პოეტურ მუშაობას. ამ ხნის განმავლობაში, თავისი შემოქმედებითი განვითარების გზაზე, მან განიცადა უდიდესი ევოლუცია. ლიტერატურული ჯგუფი, რომლის ერთ-ერთი აქტიური წევრი იგი იყო, ამჟამად აღარ არსებობს. იდეურ-სოფლმხედველობითი და მხატვრული პრინციპები, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ოდესღაც ამ ჯგუფის წევრები, დიდი ხანია, რაც მარქსისტულ-ლენინური იდეურობის სინათლეზე გამომჟღავნებულა და განადგურებული, როგორც ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული იდეოლოგიის უბადრუკი გამოვლინება, თვით ამ ჯგუფის ჯანსაღი ნაწილი კი, და მათ შორის პოეტი ვალ. გაფრინდაშვილიც, დიადი სოციალისტური სინამდვილის ზეგავლენით გადაიარაღებული, ამჟამად საესეებით გამიჯნულია თავისი ძველი შემოქმედებითი მეთოდისგან და ახალი იდეურ-მხატვრული მიზან-სწრაფვით აღჭურვი-

ლი, აქტიურადაა ჩაბმული ჩვენი საბჭოთა სინამდვილის, სოციალისტური ცხოვრების გრანდიოზულ აღმშენებლობაში.

ამხანაგ ლ ა ვ რ ე ნ ტ ი ბ ე რ ი ა მ საქართველოს ბოლშევიკების მეთაე ყრილობაზე სავსებით სწორად აღნიშნა, რომ „ცისფერ ყანწელთა“ შემოქმედება ქართულ ლიტერატურაში წარმოადგენდა დასავლეთ-ევროპისა და რუსულ ბურჟუაზიულ-დეკადენტური ლიტერატურის დაგვიანებულ გამოძახილს. სოციალისტური მშენებლობის წარმატებათა შედეგად, „ცისფერ ყანწელთა“ წინააღმდეგ ჩატარებული მწვავე იდეური ბრძოლის შედეგად, ჯგუფი დაიშალა.

იმ დიდი გარდატეხის შესაფასებლად, რომელიც მუშათა კლასის მსოფლმხედველობის დაუფლებისა და სოციალისტურ სინამდვილესთან მჭიდრო მიახლოების შედეგად მოხდა პოეტ ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებაში, საჭიროა მოკლედ თვალი გადავავლოთ მის სამწერლო მუშაობის გზას დასაწყისიდან უკანასკნელ მომენტამდე.

გაფრინდაშვილი სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა, როგორც აღვნიშნეთ, რევოლუციის წინ, მსოფლიო იმპერიალისტური ომის ყველაზე გამძაფრებულ პერიოდში. ეს იყო 1916. წელი, როდესაც რუსეთის ხალხთან ერთად საქართველოს მშრომელი ხალხის საუკეთესო, ჯანსაღი ნაწილი, მეფის თვითმპყრობელობის მიერ გარეკილი იყო იმპერიალისტური ომის საშინელ სასაკლაოზე. ასეული ათასობით ქართველი მუშები და გლეხები, ჯარისკაცის რუხ ფარაჯაში გამოხვეულნი, უმიზნოდ წყდებოდნენ გერმანიის, ავსტრიისა და თურქეთის ფრონტებზე, მათი გვამებით მოფენილი იყო შორეული გალიციის ნისლიანი ველები, ბელორუსიის გაუვალი ჭაობები, კარპატის თოვლიანი მთები და მცირე აზიის ხრიოკი უდაბნოები. სისხლიანი კაპიტალიზმის ყაჩაღურ ზრახვებსა და ამოცანებს ეწირებოდა მშრომელ მილიონთა ბედნიერება, ჯანმრთელობა და სიცოცხლე.

უკეთეს მდგომარეობაში არ იმყოფებოდნენ შინ დარჩენილი მოხუცები, ქალები და ბავშვები. შიმშილი, სიცივე, გაჭირვება ანადგურებდა ჩვენს სოფლებსა და ქალაქებს. მუშა ხელის უქონლობის გამო დაუმუშავებელი რჩებოდა მინდვრები და ვენახები, ქალაქში პური არ იყო, სოფლად სახადი მძვინვარებდა. ქვეყანაზე ამართული იყო სიკვდილის სისხლიანი და მძვინვარე აჩრდილი.

საუკეთესო შვილები ჩვენი ხალხისა გრძნობდნენ ქვეყნის ამ საშინელ უბედურებას. იმ დროს, როდესაც ბურჟუაზიული პარტიები შოვინისტურ იდეებს სთესავდნენ ხალხში, როდესაც რუსეთის მენშევიზმმა მხარი დაუჭირა თავისი ქვეყნის კაპიტალისტებს და

მეფის მთავრობას და აშკარა ობორცულ პოზიციაზე დადგა, ბოლ-  
შევიკურმა პარტიამ ლენინის მეთაურობით წამოაყენა ლოზუნგი  
„იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის შესახებ“,  
რაც იმას ნიშნავდა, რომ ფრონტზე მებრძოლ შეიარაღებულ მუ-  
შებსა და გლეხებს თოფები შემოეტრიალებინათ თავისი ქვეყნის  
ბურჟუაზიისა და გაბატონებული კლასების წინააღმდეგ, მათ დასამ-  
ხობად და ხალხის გასანთავისუფლებლად სოციალური და ნაცი-  
ონალური ჩაგვრისაგან. „ჩვენთვის, რუსეთის სოციალ-დემოკრატიე-  
ბისათვის,—სწერდა ამ დროს ლენინი,— უცილობელია, რომ რუ-  
სეთის მუშათა კლასის და ყველა ხალხის მშრომელი მასების თვალ-  
საზრისით უმცირესი ბოროტება იქნებოდა მეფის მონარქიის და-  
მარცხება, ყველაზე რეაქციული და ბარბაროსული მთავრობის.  
რომელიც ყველაზე მეტ ეროვნებას და ყველაზე მრავალრიცხოვან  
მოსახლეობას სჩაგრავს ევროპასა და აზიაში“ (ლენინი — „ომი და  
რუსეთის სოციალ-დემოკრატია“, თხზ. ტ. XVIII, გვ. 77, ქართული  
გამოცემა).

მონარქიის დამარცხების მოსურნენი იყვნენ მეფის რუსეთის და-  
მონებული ხალხები, რადგანაც ეს მათ იმედს აძლევდა ნაციონალუ-  
რი ჩაგვრისაგან გათავისუფლებულიყვნენ. ქართველი ხალხის ნაცი-  
ონალურ-რევოლუციური მოძრაობის საუკეთესო წარმომადგენლე-  
ბი, უდიდესი ქართველი მწერლები აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშა-  
ველა, იმედის თვალით შესცქეროდნენ მომავალს და ოცნებობდნენ  
ჩვენი ხალხის გათავისუფლებაზე. მთელი მათი შემოქმედება, მათი  
საზოგადოებრივი მოღვაწეობა მიმართული იყო იქითკენ, რომ პო-  
ეტური ენით და საქმით გაეღვივებიათ ქართველ მშრომელ ხალხში  
მომავალი თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრებისათვის ბრძოლის  
იდეები. მაგრამ აკაკიც და ვაჟა-ფშაველაც გარდაიცვალნენ 1915  
წელს, ასე, რომ ვერ მოესწრნენ ომის დასასრულს და დიად ოქ-  
ტომბრის რევოლუციას. მათი სახით საზოგადოებრივ ასპარეზს გან-  
შორდნენ მე-19 საუკუნის უდიდესი ქართველი პოეტები, რომლე-  
ბიც თავისი კალმით, მგზნებარე გულითა და ნათელი აზრით ეხმა-  
ურებოდნენ ხალხის ლხინსა და ჭირს, წინ უძღოდნენ მას საუ-  
კეთესო მომავლისთვის ბრძოლაში.

და აი, მათი გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ, ქვეყნის-  
თვის ამ გამძაფრებულ მომენტში, საქართველოს საზოგადოებრივ  
ასპარეზს მოევლინენ ახალგაზრდა პოეტები, — „ცისფერ ყანწე-  
ლები“.

რა ახალი იდეები მოუტანეს მათ თავისი შემოქმედებით ქარ-  
ველ ხალხს ამ მძიმე და საბედისწერო დროს? რა სანუგეშო და

გამამხნევებელი სიტყვებით მიმართეს მათ თავის ქვეყანას ამ ისტორიულ მომენტში? ამის საუკეთესო პასუხს იძლევა ის მანიფესტი, რომელიც ქართველმა სიმბოლისტებმა გამოაქვეყნეს თავის პირველ ჟურნალ „ცისფერ ყანწებში“. „ჩვენ გვსურს შევექმნათ გაუგებარი და საოცარი სიტყვები, — სწერდნენ ისინი ამ ჟურნალში, „ვცხოვრობთ ნათელში და სიმთვრალეში, გვწამს ყოველგვარი ორგიაო“, — თავმომწონედ აცნობებდნენ ხალხს ახალგაზრდა პოეტები, — უარყოფთ წარსულს, წარსულის ოქროს გვირგვინებს გამოვსტაცეთ ძვირფასი მარგალიტები და გადავისროლეთ დავიწყების ზღვაშიო“. და ბოლოს ეს წარსულის უარყოფელი ყმაწვილები ჰკუთასაც არიგებდნენ ხალხს: „გაუღიმეთ სიკვდილის ძახილს, დაივიწყეთ სნეულნი და მახინჯნი, უარყავით ღმობიერებაო“. მათი აზრით ხალხს ღიმილით უნდა ეცქირნა სიკვდილისათვის, რომელიც იმ დროს მართლაც ასეული ათასობით მშრომლებს იწირავდა იმპერიალისტური ომის ფრონტებზე, ხალხს უნდა დაევიწყებია სნეულნი და მახინჯნი, რომლებიც ბლომად უბრუნდებოდნენ ქვეყანას ომის სანგრებში დაჭრილ-დასახინჩრებულთა და დაავადმყოფებულთა სახით. ამის სანაცვლოდ პოეტები ხალხს პირდებოდნენ გაუგებარი და საოცარი სიტყვებით დაწერილ ლექსებს! ცხადია, ძალიან მცირე ნუგეში იყო ასეთი შეპირება ჩვენი ხალხისთვის. ქართველი სიმბოლისტების მუშაობის ეს პერიოდი მართლაც გაუგებარი, უცხო და მიუღებელი დარჩა მკითხველთა ფართო მასებისთვის. არც მათი სოფლმხედველობა, არც მათი პოეტური პრაქტიკა არ ეგუებოდა ჩვენი სინამდვილის ისტორიულ ვითარებას, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების შინაარსს, ჩვენი კულტურის განვითარებას. მათი სოფლმხედველობა აგებული იყო იდეალიზმის საფუძვლებზე, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო მუშათა კლასის მატერიალისტურ შემეცნებასთან და წარმოადგენდა ბურჟუაზიის, ექსპლოატატორთა კლასების სოფლმხედველობას სიმბოლისტებისთვის საგანი, მოვლენა არ წარმოადგენდა თავისთავად რეალურ ფენომენს, მათი აზრით იგი იყო მხოლოდ სიმბოლო, ნიშანი, გამოვლინება სხვა, ჩვენთვის მიუწვდომელი, ჩვენი ცხოვრების გარეშე არსებული უცნობი სამყაროსი, ამიტომ, მათის აზრით, საჭირო იყო პოეტს თავისი ლექსით, თავისი პოეტური შთაგონებით გამოეცნო, გაეხსნა ეს უხილავი, „მიღმაქვეყნიური“ სამყარო, რომელიც თავისი მარადიული და დაუსრულებელი სახით მიუწვდომელი იყო ჩვეულებრივი მომაკვდვისთვის. რუსული სიმბოლიზმის უდიდესი წარმომადგენელი, პოეტი ვალერი ბრიუსოვი ამგვარად გვიხატავდა თავისი პოეტური სკოლის შეხედულებას ხელოვნებაზე: „ხელოვნება, — სწერდა იგი, —

არის ის, რასაც სხვა სფეროებში ვუწოდებთ ზეშთაგონებას; ხელოვნური ნაწარმოები არის მოხურული კარები მარადისობისა... ჩვენ ვცხოვრობთ გარშემორტყმულნი სამუდამო, მარადყამული ტყუილით. გონება და, მაშასადამე, მეცნიერებაც უძლურია ფარდა ახადოს ამ ტყუილს... მაგრამ, — გვარწმუნებდა ბრიუსოვი, — ჩვენ უიმედოდ არა ვართ ჩაკეტილი ამ „ცისფერ საპყრობილეში“. იქიდან არის გასასვლელები, სარკმლები თავისუფლებისკენ. ეს სარკმლებია ის მომენტები ექსტაზისა, ზეგრძნობიერი ინტუიციისა, რომელიც იძლევა სამყაროს მოვლენებში ღრმად ჩაწვდომის საშუალებასო“.

ასეთივე აზრებს იზიარებდნენ და თანამიმდევრულად ატარებდნენ თავის პოეტურ შემოქმედებაში ქართველი სიმბოლისტებიც. ერთი მათგანი, ს. ცირეკიძე სწერდა: „მოვლენების იქეთ საგნები იზმორებიან უცხონი. სოფელს დიდი ხანია გაუჩნდა ორეული და მოჩვენებებით დასახლდა ქვეყანა... ორი თვალი ადამიანისა დაძველდა. პოეზია და რელიგია იხედებიან მოვლენათა გადაღმა და მათთვის საჭირო შეიქნა ათვისების და გამოთქმის ახალი ფორმები... პოეზია გვაგრძნობინებს მთელს პირობითობას ქვეყნისას და გვებადება სურვილი, რომ ეს მახინჯი ნიღაბი გადავხადოთ მის უთქმელ ქვედაპირს... პოეტს მინიჭებული აქვს იგრძნოს (მოვლენების) გადაღმა პარალელი უკვდავებისაო“...

ასეთი იყო სიმბოლისტების აზრით პოეზიის და საერთოდ ხელოვნების დანიშნულება. ცხადია, ამგვარ „მარადიულ“ პრობლემებით გართულ პოეტებს უმნიშვნელო და პოეტისათვის შეუფერებელ საქმედ მიაჩნდათ საზოგადოებრივ საკითხებზე გამომხატულება, ამ ქვეყნიურ ჭირვარამისთვის ყურადღების მიქცევა, ხალხის ცხოვრებისა და სატკივარისათვის პასუხის გაცემა. მათი აზრით პოეზიის სფეროში არ შედიოდა მშრომელი მასების რევოლუციური ბრძოლა უკეთესი მომავლისათვის, მუშათა კლასის თავდადებული და გადამწყვეტი იერიშები ექსპლოატატორულ კლასების წინააღმდეგ, საერთოდ მწვავე სოციალური პრობლემები, რომლის გადაწყვეტასაც იმ დროს ეწირებოდა ჩვენი საუკეთესო თაობების სიცოცხლე. რადგან ქვეყანა მხოლოდ მოჩვენებებით იყო დასახლებული, რადგან სიმბოლისტი პოეტების აზრით გადაუდებელ და ყველაზე მნიშვნელოვან საქმეს იმქვეყნიური, „მარადიული“ სამყაროს გამოცნობის პრობლემები შეადგენდნენ, მათ შემოქმედებაშიც მთავარი ადგილი ამ მოჩვენებებმა, ლანდებმა და ქიმერებმა დაიკავეს.

იმ პოეტებს შორის, რომლებიც განსაკუთრებულის თანამიმდევრებით გამოხატავდნენ თავის მხატვრულ შემოქმედებაში სიმბოლის-

ტების იდეალისტურ მსოფლმხედველობას, პირველი ადგილი ეკავა ვალერიან გაფრინდაშვილს. მან ყველაზე უფრო მძაფრად და კოლორიტულად გამოამჟღავნა ის რეაქციული და ანტისაზოგადობრივი ტენდენციები, რომელიც საფუძვლად ედო სიმბოლისტურ პოეტიკას.

ვალერიან გაფრინდაშვილის ამ პირველი პერიოდის ლექსების თემას უმრავლესად შეადგენდნენ მისტიური ჩვენებები, საიდუმლო ლანდები და საოცარი ორეულები, რომლებითაც დასახლებული იყო მისი აზრით ეს ქვეყანა. ბუნების სურათები მისთვის წარმოადგენდნენ არა რეალურ სამყაროს სახეს, არამედ უზილავი, წარმოდგენაში არსებული ქვეყნის ერთგვარ იეროგლიფებს. გასაგებია, რომ ბუნების სურათებში მას ყველაზე უფრო იტაცებდა დაისები, — მზის ჩასვლის დრო, დაბინდების ხანა. ამ დაისებს ვ. გაფრინდაშვილმა უძღვნა ლექსების მთელი ციკლი, სადაც იძლეოდა მოჩვენებათა ფანტასმაგორიულ სურათებს. მისი პოეტური შემოქმედების განსაკუთრებით აჩემებულ ობიექტს წარმოადგენდა აგრეთვე სარკე. ჩვენი ყოველდღიური ყოფა-ცხოვრების ეს ჩვეულებრივი საგანი პოეტისათვის იქცა არარეალური, ფანტასმაგორიული სამყაროს სიმბოლოდ, ერთგვარ თავშესაფარად, რომელიც დასახლებული იყო მისტიური სახეებითა და ორეულებით.

ცხადია, ასეთ რეაქციულ სოფლმხედველობაზე აღმოცენებული მხატვრული შემოქმედება და, განსაკუთრებით პოეტური თემატიკის ვიწრო რკალი თავის დაღს აჩნევდა ვალ. გაფრინდაშვილის პოეტურ თავისებურებას. მას ახასიათებდა უკიდურესი ინდივიდუალიზმი, რელიგიური მისტიციზმი, სრული ინდეფერენტიზმი საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი. მისი პოეტური ხილვის ობიექტს შეადგენდნენ ლანდებთან და ორეულებთან ერთად გარდასული ისტორიული და ლიტერატურული სახეები, როგორც, მაგალითად: ჰანიბალი, კალიოსტრო, მაჩაბელი, ჰამლეტი, ოფელია და სხვები, იგი განგებ და შეგნებულად გვერდს უქცევდა თავისი დროის ფაქტებს და მოვლენებს, ცხოვრების რეალურ სინამდვილეს; ცხადია ასეთი ვიწრო ინდივიდუალიზმი და მისტიური განწყობილებები გამოუვალ ჩინამდე მიიყვანდა მის შემოქმედებას და ეს ასეც მოხდა. თავისი პოეტური მუშაობის გარკვეულ მომენტში პოეტმა ამოსწურა თავისი მოჩვენებებისა და ზმანებების თემატიკა და აგრეთვე ის მხატვრული საშუალებანი, რომლითაც იგი ასახავდა ამ მისტიურ სამყაროს ბინადართ. მის ლექსებს დაეტყო ერთფეროვნება და ძველი მოტივების გადამღერება. მისი საღებავები გაფერმკრთალდა, მათ მოაკლდა ძველი სხივი და ელვარება. ძველი იდეური შეხედულებ-

ბებუს თანამიმდევრულმა ლოდიკამ პოეტი მიიყვანა იქამდე, რომ მან ერთ-ერთ ლექსში პოეტის იდეალურ კარიერად აღიარა სიგიჟე, ჭლეტი და თვითმკვლელობა. საგულისხმოა ამ მხრივ ერთი მისი ლექსი „ბოჰემის მონოლოგი“,—სადაც ვკითხულობთ შემდეგ სტრიქონებს:

„სამარცხენოა პოეტისთვის სხვა კარიერა  
გარდა თვითმკვლელობის,  
არა მსურს ვიყო ვიქტორ ჰიუგო ან აკაკი,  
მე მირჩევნია დავიღუპო, როგორც ბოჰემა.  
მე მეჯავრება პოეტისთვის რამე ხელობა,  
მისთვის ვიწამე სამუდამოდ ეს კარიერა:  
სიგიჟე, ჭლეტი, ალკოჰოლი და თვითმკვლელობა,  
სიკვდილი იყოს ამ დუელში შავ ბარიერად“.

ასეთი იყო პოეტ ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედების ხასიათი და შინაარსი რევოლუციის წინაპერიოდში და ერთხანს რევოლუციის შემდეგაც. ცხადია, იგი მომწყვდეული იყო გაუვალ ჩიხში, რომელსაც არ ჰქონდა და არც შეეძლო ჰქონებოდა გასავალი ნამდვილ ხელოვნებაში მართლაც გაუგებარი, უსარგებლო და მიუღებელი იყო ხალხისთვის ასეთი მწერლობა. ცნობილია, თუ როგორ განმარტავდა ხელოვნების ბუნებას და დანიშნულებას მუშათა კლასის დიდი ბელადი ლენინი. კლარა ცეტკინთან ცნობილ საუბარში ლენინი აღნიშნავდა, რომ ხელოვნება ეკუთვნის ხალხს. რომ იგი თავისი ფესვებით ღრმად უნდა სწვდებოდეს ფართო მშრომელი მასებრს გულში, იგი ამ მასებისთვის გასაგები და საყვარელი უნდა იყოსო. იგი უნდა აერთიანებდეს და ამაღლებდეს ამ მასების გრძნობას, აზრს და ნებისყოფასო. დიდი ლენინის ეს ცხოველყოფილი მოძღვრება საფუძვლად დაედო ჩვენი საბჭოთა ლიტერატურის მთელს განვითარებას, ჩვენი საბჭოთა მწერლობის მთელს შემოქმედებითს მუშაობას.

წინარევოლუციური თაობის ქართველ მწერალთა საუკეთესო და ჯანსაღმა ნაწილმა ამ მოძღვრების ნიადაგზე, მუშათა კლასის სოფლმხედველობის დაუფლებისა და სოციალისტურ სინამდვილესთან დაახლოვების შედეგად, შესძლო ძველი იდეურ-შემოქმედებითი, პოზიციების უკუგდება და ახალი იდეურ-მხატვრული მეთოდით შეიარაღება. ეს იყო ერთად-ერთი ხსნა შემოქმედებითი უწყაოფობისა და უძღურებისაგან. ეს იყო გასავალი დიდ იდეურ შემოქმედებაში.



ვალერიან გაფრინდაშვილმა, წინარეგოლუციური თაობის სხვა საჯეტესო პოეტურ ძალებთან ერთად შესძლო ძველი სოფლმხედველობითი გზის უარყოფა. ძველი იდეურ-მხატვრული რეციდივების თანმიმდევრული დაძლევის გზით მან შესძლო საბჭოთა პოეტების მოწინავე რიგებში ჩადგომა და თავისი შემოქმედების მთავარ თემად საბჭოთა სინამდვილის სოციალისტური თანადროულობის დიდი საზოგადოებრივი პრობლემების დასახვა.

ვალერიან გაფრინდაშვილის უკანასკნელი ათი წლის მანძილზე წარმოებული შემოქმედებითი მუშაობის შედეგს წარმოადგენს მისი ახლად გამოცემული ლექსების წიგნი (1937წ.) აქ შეკრებილია პოეტის რჩეული ლექსები, რომელთაც ახასიათებს თემატიური მრავალფეროვნება და მაღალი მხატვრული ხარისხი.

ჩვენი საბჭოთა სინამდვილე, სოციალისტური აღმშენებლობა, დიდი ბელადის — ლენინისა და სტალინის შთამოგონებელი სახეები, წითელი არმია, ახალი კოლხიდის მშენებლობა, ახლადგააზრებული ბუნების სურათები, სოციალისტური შრომის გმირები, საბჭოთა პატრიოტიზმი — აი ის მდიდარი და მრავალმხრივი თემატიკა, რომელსაც ეხება ვალერიან გაფრინდაშვილი თავის უკანასკნელ ლექსებში, აქ, თავის შემოქმედების ამ ახალ ეტაპზე, ვალერ. გაფრინდაშვილი ამუღავნებს საბჭოთა პოეტის მაღალ იდეურობას და მტკიცედ ეუფლება ჩვენი საბჭოთა პოეზიის ერთადერთ შემოქმედებით მეთოდს, სოციალისტურ რეალიზმს. მის ლექსებში ადვილი აღარა აქვს პირველ პერიოდის მისტიურ ჩვენებებსა და პესიმიზმით მოშხამულ განწყობილებებს, ეს არის ნათელი და ფართო გზა საბჭოთა ლირიკოს-პოეტისა, რომელიც გულწრფელი და შთაგონებული ხმით გამოსთქვამს ჩვენი ხალხის განცდებს, ფიქრებს და გრძნობებს. ლექსებში, რომელსაც სათაურად აქვს „ჩემი ქვეყანა“, პოეტს შეხარის სამშობლოს აყვავებას, მის განმტკიცებას, მისი ბრძოლითა და შრომით შთაგონებულ ცხოვრებას.

თავის ქვეყნის დიად აღმშენებლობაში პოეტი ხედავს დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის მოძღვრების განაღდებას, მათი საქმის განხორციელებას. ჩვენი ხალხის უღრესი სიყვარული დიდი სტალინისადმი პოეტს შეაინიშნავად აქვს გამოხატული ლექსში „ოცნება ბელადზე“. პოეტის ოცნებაა ასახოს თავის ლექსებში დიდი სტალინის ნათელი სახე:

„ეს ოცნებაა თვითეულ მხატვრის,  
ეს არის ფიქრი ყოველ პოეტის —  
ასახონ იგი, ვით თვალი ნატვრის  
და შთაგონება მთელ საბჭოეთის“.

ვალერიან გაფრინდაშვილმა ძღვეამოსილ წითელ არმიას უძღვ-  
ნა გულწრფელი პათოსით აღსავსე ლექსი. მან ასახა წითელ-არმი-  
ული, როგორც გმირი სამოქალაქო ომებისა, ერთგული დარაჯი სო-  
ციალისტური აღმშენებლობისა და მედგარი მებრძოლი ყოველგვარი  
მტრის წინააღმდეგ, თუ კი იგი გაბედავს ჩვენი ქვეყნის საზღვრე-  
ბის გადმოლახვას;

„სამოქალაქო ომის ხანძარში  
მან გამარჯვება ჰპოვა მრავალი  
და შეგნებული მედგარი მარშით  
მიდის, რომ შეჰქმნას თვით მომავალი“.

გაფრინდაშვილის ლექსებში გამოირჩევა ლექსი, რომელიც მან  
უძღვნა კოლხიდის გრანდიოზულ მშენებლობას. ლექსს ეწოდება  
„ინათი და ყორათი“. პოეტმა ამ მხატვრულ ფერადებით ასახა ძვე-  
ლი კოლხიდის გაუვალი ჭაობები და იქაური მოსახლეობის გარდაშე-  
ნების მწარე სურათი. წარსულის ფონზე იგი იძლევა ახალი კოლხი-  
დის მშენებლობის პანორამას და ასე აბოლოგებს თავის ლექსს:

„სურდა ჭაობებს ჩვენ დავესაჯეთ,  
მუდამ გვდაგავდა საფლავის ალი  
„და მოგვცა შვება ჩვენმა მესაჭემ,  
ვისაც ვეძახით ამხანაგ სტალინს.“

ლექსში „გმირულ ესპანეთს“ ვ. გაფრინდაშვილი გვიხატავს ეს-  
პანეთის მშრომელთა თავდადებულ ბრძოლას ფაშისტ ურდოების  
წინააღმდეგ. იგი იგონებს ესპანეთის კომპარტიის ერთერთ ხელმძღ-  
ვანელს მებრძოლ ქალს დოლორეს იბარურის და მიმართავს მას  
ალტაცებული სტრიქონებით:

„შენი მგზნებარე სიტყვა, დოლორეს,  
როგორც მუსიკა, გულს ეწვეთება,  
იგი ავადმყოფს ჰკურნავს მწოლარეს,  
მებრძოლთა რიგებს ცეცხლად ეღება.“

პოეტი აღწერს ბრძოლის სურათებს, რომელიც მძვინვარებს ეს-  
პანეთში და გამოსთქვამს იმედს, რომ ესპანეთის მშრომელები გაი-  
მარჯვებენ თავისი ქვეყნისა და უცხო მხრიდან შემოჭრილი ფაშის-  
ტებისა და ინტერვენტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

„გვადარამაზე მძვინვარებს ომი,  
იბრძვის ვრენადა და ბადახოსი,  
ღამის ვარსკვლავნი სხივების კრთობით  
გლოვობენ მუშებს, ომში დახოცილთ...“

სოფლებს არბევენ ავაზაკები,  
შაინც არ ისმის არსად გოდება  
და აღმართულან კვლავ ქალაქები,  
ვით ხალხის რისხვა და მოწოდება...  
ახალ ძალებით განაგრძობს ბრძოლას  
მადრიდი — შტაბი მიუდგომელი,  
და გამარჯვებას მიაღწევს ბოლოს  
ხალხი გმირული, ხალხი მშრომელი“.

ვ. გაფრინდაშვილმა ასეთივე ძლიერი სტრიქონები უძღვნა გერმანიის ფაშიზმის მიერ დევნილ მუშათა კლასს. იგი უმღერის „შილერის და კარლ მარქსის მხარეს, რომელიც ახალ ბრძოლისათვის ძალღონეს იკრებს“. პოეტს პირსისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ გამოთქმულ სტრიქონებში გამოხატული აქვს მთელი ჩვენი საბჭოთა ქვეყნის გრძნობები და განცდები.

ვ. გაფრინდაშვილის ახალ ლექსებში საკმაო ადგილი აქვს დათმობილი ბუნების სურათებსაც. ძველი ლექსებიდან გამორჩევით პოეტისთვის დამახასიათებელია რეალისტური ხედვა და ნათელი, ყოველგვარი მისტიური განწყობილებიდან თავისუფალი გრძნობების გამოხატვა.

ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია ვ. გაფრინდაშვილისთვის ერთი მისი უკანასკნელი ლექსთაგანი: „გაზაფხული ემზადება არჩევნებისთვის“. ბუნების სურათები ამ ლექსში პოეტის მიერ ასახულია არა განყენებულად, სოციალური ყოფის გარეშე, არამედ გააზრებულია თანადროული ეპოქის ერთი უდიდესი პოლიტიკური მოვლენის ფონზე და მასთან დაკავშირებით.

„ეს გაზაფხული ემზადება არჩევნებისთვის  
და, როგორც მხატვარს, მას გამოჰყავს ნაზი ფერები,  
არჩევს ნიადაგს ყურძნის ვაზის რბილ მტევნებისთვის,  
ამღერებს ფრინველთ და ვარსკვლავებს მეტ ძლიერებით,  
თითქოს არ ჰყოფნის დღე და ღამე თავის გზნებისთვის,  
რომ გამოჰკვეთოს მთელი სახე ბედნიერების...  
აი, დადგება არჩევნების დილა ალური  
და გაზაფხული მზად იქნება თავის ამალით.  
შივა ყუთებთან, ვით მდინარე ნიაღვარული,  
თავის ხმას მისცემს ხალხის შვილებს ლაღი, ფრთამაღი,  
დიდებას ეტყვის ჩვენთან ერთად ბელადს საღამით,  
გაბრწყინვებული მზის სხივებით და მხიარული“.

მთელ რიგ ლექსებში პოეტი უბრუნდება თავის საყვარელ თემას — აღორძინებულ სამშობლოს, დიად სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმულ თავის ქვეყნის განახლებულ სურათებს. ასეთია ლექსი „ქუთაისი“. თუ წინათ მას იტაცებდა ამ მისთვის მშობლიური ქალაქის სახე ქარში, რადგან ქარის დროს, პოეტის სიტყვით, ეს ქალაქი სხვანაირ სახეს იღებდა, — თითქოს უბრუნდებოდა პირველყოფილ ქაოსს და „თვალწარმტაცი“ ქიმერებით ივსებოდა მისი მტვერითა და კორიანტელით ავსილი ქუჩები, — ახლა პოეტს ხიბლავს უკვე ახალი ქუთაისის, ამ ახალი ინდუსტრიული ქალაქის შეცვლილი პეიზაჟი, რაც სიხარულის განცდებს იწვევს მის გულში.

ვ. გაფრინდაშვილის ლექსებში აღსანიშნავია მისი მიმართებითა ხასიათის ლექსები. მათ შორის ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებენ ლექსები, მიძღვნილი ილია ჭავჭავაძის, ეგნატე ნინოშვილის, პუშკინისა და რუსთაველისადმი.

ვ. გაფრინდაშვილი უმთავრესად ლირიკოსი პოეტია, მაგრამ მას ეპიური ხასიათის ნაწარმოებებიც აქვს დაწერილი. ასეთია მისი „პარიზის კომუნა“, სადაც აღწერილია პარიზის კომუნართა გმირული ბრძოლა ვერსალის ჯალათების წინააღმდეგ. ლირიკულ ლექსების გარდა ვ. გაფრინდაშვილს მოეპოვება კრიტიკული წერილებიც, აღსანიშნავია მისი წერილები ნიკოლოზ ბარათაშვილზე, დავით გურამიშვილზე და სხვა პოეტებზე. იგი ეწევა აგრეთვე ნაყოფიერ მთარგმნელურ მუშაობასაც. მის კალამს ეკუთვნის ექვენ პოტიეს „ინტერნაციონალის“ ერთ-ერთი ქართული თარგმანი, აგრეთვე თარგმანები გოეტედან, ედგარ პოდან, ჰაინეიდან, პუშკინიდან, და სხვა რუს პოეტებიდან (ბლოკი, ბაგრიცკი, დემიან ბედნი და სხვ.).

ვ. გაფრინდაშვილი კვლავ განაგრძობს ინტენსიურ პოეტურ შემოქმედებითს მუშაობას. თავის ავტობიოგრაფიაში იგი სწერს: „ჩემი გზა არის სოციალისტური რეალიზმის გზა. ჩემთვის, როგორც პოეტისთვის უდიდესი როლი ითამაშა ოქტომბრის რევოლუციამ, რომელმაც გააჯანსაღა ჩემი სოფელმხედველობა და ჩემი მუშაობა. ჩვენმა გმირულმა ეპოქამ, ჩვენმა უკვდავმა ბელადებმა, ლენინმა და სტალინმა, მოახდინეს ჩემზე უდიდესი გავლენა და მე შეძლების დაგვარად გამოვეხმაურე ჩვენი დღეების თემატიკას. სიმბოლიზმი უკვე განვლილი ეტაპია ჩემთვის და ვცდილობ ახლანდელ ჩემს ლექსებში სრულიად თავისუფალი ვიყო ჩემი წარსული შემოქმედებითი მეთოდის გავლენებიდან“. ასეთია პოეტის აზრი თავის დღევანდელ მუშაობაზე. იგი თავის შემოქმედებაში, როგორც დავინა-

ზეთ მისი ლექსებიდან, თანმიმდევრულად თავისუფლდება ძველ-სოფლმხედველობითი და მხატვრული პრინციპების გავლენისგან.

უკანასკნელ წელს გამოცემული მისი ლექსების კრებული საუკეთესოდ მეტყველებს პოეტის ახალი იდეურ-მხატვრული შემოქმედებითი გზის აღმავლობაზე. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ამ კრებულის ზოგიერთ ლექსებს აქა-იქ კიდევ ეტყობათ გამოძახილი ძველი, „დაისების“ პერიოდის შემოქმედებითი მეთოდისა. ამის ნიმუშს თავისი განწყობილებით და პოეტური სახეების სისტემით, წარმოადგენს თუნდაც ლექსი „თივის ზვინი“ და აგრეთვე ზოგიერთი სხვა ლექსები, სადაც მეტად საგრძნობია პუბლიცისტური მსჯელობა, მხატვრულ საღებავების გაფერმკრთალება, მწიგნობრული სახეებისა და შედარებების რეციდივები. მაგრამ, როგორც ვთქვით, დღეს ეს გარემოება აღარ წარმოადგენს დამახასიათებელ მომენტს პოეტის მთელი შემოქმედებისთვის. ვ. გაფრინდაშვილის, როგორც საბჭოთა მწერალის იდეურობა და მხატვრული შესაძლებლობანი მისი შემდგომი განუწყვეტელი ზრდა-განვითარების თავდება.

## დ. ბანაშვილი

### ისტორიული რომანის საკითხთა დაყენებისთვის

როდესაც ისტორიული რომანის საკითხებს ვეხებით, ვერ დავივიწყებთ პროსპერ მერიმეს სიტყვებს, რომელიც მან წარმოთქვა პარიზის ერთერთ ლიტერატურულ სალონში მწერლების საჯარო სხდომაზე: „როცა წარსულ მოვლენებს ვფურცლავ, — ამბობდა მერიმე, — ჩემს სულს იპყრობს წლები და საუკუნეები, დამტვერიანებული ფაქტები. გაბედულად შევედივარ საარქივო გვირაბში, როგორც მითოლოგიურ ლაბირინტში, ვეკითხები მუნჯ ქრონიკებს, ისინი ჩემ თვალწინ ენას იღვამენ, მათი ხმა ყურს ესმის. ფანტაზიის შემომქმედ ძალით ვაცოცხლებ მათ, ვაცლი უწმინდურ ლაქებს, ვავსებ უფსკრულებს; ერთი სიტყვით, მათში შემაქვს ჰარმონია.“ პროსპერ მერიმეს ეს სიტყვები ძლიერ ახლო გვაგრძნობინებს ისტორიული რომანის არსს და იმ პასუხისმგებლობას, რომელიც საჭიროა ისტორიული თემების მხატვრული დამუშავების დროს.

გარდასულ დროთა სურნელების აღდგენა და მისი მხატვრული გამოსახვა ისტორიული რომანის ავტორის წინაშე ორგვარ ამოცანას აყენებს: მასალათა ძიება იმგვარად უნდა წარიმართოს, რომ მხატვრული დამუშავების დროს არ დაჰკარგოს ეპოქის სურნელება და დროის კოლორიტი. ამავე დროს რომანს ორგანიული კავშირი უნდა ჰქონდეს მწერლის აწმყო დროსთან. მართალია, ლიტერატურის თეორიაში ჯერ კიდევ ზუსტად არ არის განსაზღვრული ისტორიული რომანის ცნება, მაგრამ როგორც თვითონ სახელწოდება მიგვითითებს, მას განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს. სიტყვა **ისტორიული** განმსაზღვრელია არა თვითონ რომანი, არამედ ფონი, რომელზედაც რომანი იშლება. რომანში აღწერილი დრო და ადამიანები ისტორიულ წარსულს ეკუთვნიან; სიტყვას **ისტორიულს** ამ მომენტში ხაზს ვუსვამთ, რადგანაც ყოველი წარსული არ შეიძლება ისტორიული იყოს. წარსული ბოლოს ისტორიულში გადადის, მაგრამ ამ გადასვლას სჭირდება დრო და

მანძილი. ამ თვალსაზრისით, როდესაც ისტორიული რომანის ცნებაზეა ლაპარაკი — აქ ისტორიული ცნება უნდა ემყარებოდეს უკვე დადგენილ ეტაპს წარსულისას. დრო და მანძილი ჰუგოს თქმის არ იყოს, ამტვერიანებს ისტორიულ მოვლენებს. ისტორიული რომანის თემას სწორედ ეს დამტვერიანებული ამბავი და მასალა წარმოადგენს.

ისტორიული რომანის ავტორს მკითხველი გადაჰყავს გარდასულ ეპოქებში; იგი შემომქმედი გონების თვალთ უმზერს წლებისა და საუკუნეების გრძელ მანძილზე მომხდარ ფაქტებს, იქ მომქმედ ადამიანებს. შემომქმედი ძალით იჭერს გარდასულ ხმას და მხატვრული სიტყვის საშუალებით აცოცხლებს წინაპართა ზნეჩვეულებებს, ხასიათებს, ტრადიციებს. ერთი სიტყვით: ისტორიული რომანის ავტორი ისტორიულ მტვერს აცლის წარსულს და ფანტაზიის ძალით გვაძლევს ეპოქის სულს. სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა გვესმოდეს ისტორიული რომანის ცნება.

ვიქტორ ჰუგოს „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ ერთი საუკეთესო ნიმუშია ისტორიული რომანისა. რა ვუყოთ, რომ იქ მომქმედი გმირები ისტორიულად არ არსებობდნენ, ან და არსებობდნენ სხვაგვარ ფორმაში. ეს ხელს არ უშლიდა დიდებულ ჰუგოს ამ რომანის შესახებ ეთქვა: „ეს არის მე-15 საუკუნის სურათი და სურათი მე-15 საუკუნისა, რომელიც გამოხატულია პარიზში“. ჰუგოს მიმდევრებს კარგად ესმოდათ, რომ პარიზის ღვთისმშობლის ტაძრით მეცნიერი ვერ შეისწავლიდა საშუალო საუკუნეების ბნელ ისტორიას, მაგრამ „ვის შეუძლია უარყოს — ამბობდა იპოლიტე ტენი, — თუ რამდენ მეცნიერს გაუღვიძა ამ რომანმა ისტორიული კვლევა-ძიების სურვილი“. და მართლაც, არა მარტო მე-19 საუკუნეში, არამედ დღესაც ჰუგოს რომანი გვინერგავს იქ აღწერილ მოვლენებისადმი გულწრფელი სიყვარულის გრძნობას. ეს რომანი ძლიერი ფერებით გვაგრძნობინებს ისტორიული პროცესების დიდებას, რომლებიც განაგებდნენ საშუალო საუკუნეების კაცობრიობის ცხოვრებას.

ჰუგო არა მარტო ადამიანების, არამედ უსულო საგნების აღწერაშიც კი იჩენს ისტორიის უდიდეს ცოდნას. მან შინაგანი ხილვით იცის პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის, ხუროთმოძღვრების ამ უდიდესი ძეგლის ყოველი უბრალო დეტალიც კი. როცა ვკითხულობთ პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს, ჩვენ თვალწინ სდგება „ეპოქის შეერთებული ძალების განსაკუთრებული ნაყოფი, რომლის ყოველ ქვაზე, სხვადასხვა ფერებში, აღბეჭდილია მუშის ფანტაზია და მხატვრის გაწრთვნილი გენია“. ამ აზრით ვიქტორ

ჰუგოს რომანი ერთი უბრწყინვალესი ნიმუშია ისტორიული რომანისა. მართალია შიგ ბევრია ფანტასტიური სურათები, მაგრამ ფანტაზიაშიც კი სჩანს სიმართლე და ბუნებრივობა, რომელიც ვიქტორ ჰუგოს დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს საერთოდ. ამ რომანში ჰუგო მოვლენებს ისე უყურებს, როგორც დასრულებული ეპოქის ნაწილებს, და ადამიანებს ისე აღწერს, როგორც ისტორიულად დადგენილ ეპოქის შვილებს. ეს არის დამახასიათებელი ნიშანი ისტორიული რომანისა; განა ასევე არ ექცეოდნენ გარდასულ დროსა და მასალას ვალტერ სკოტი „აივენგოში“, პროსპერ მერიმე „ბართლომეს ლამეში“, ლევ ტოლსტოი „ომსა და ზავში“, დიუმა თავის ისტორიულ რომანებში; უკანასკნელად კი ფეიხტვანგერი „იუდეელთა ომში“ და ჰენრიხ მანნი „ჰენრიხ IV სიყრმეში“. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეთქვა, რომ თვითელი მათგანი — ისტორიულ მოვლენებს და ადამიანებს ისე აღწერდნენ, როგორც ეპოქის გაქვავებულ ფორმას. ხელოვანის ამგვარი მისვლა გარდასულ დროსთან იქნებოდა პასიური აღბეჭდვა ეპოქისა, პასიური აღბეჭდვა კი ისტორიულ რომანს უკარგავს ზემოქმედების ძალას. დებულება უფრო გასაგები გახდება, თუ ჩვენ ქეშმარიტი წარმოდგენა გვექნება ისტორიული რომანის ხასიათზე. როგორც წარსულში, ისე დღესაც ისტორიული რომანის ხასიათს განსაზღვრავს მწვრლის იდეური პოზიცია — ისტორიულ მასალებთან და ადამიანებთან. ამ აზრით მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ჩვენ ვხვდებით ისტორიული რომანის ორ ტიპს. პირველ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს მოვლენათა აქტიურ ასახვასთან, მეორე შემთხვევაში კი ამავე მოვლენის პასიურ ასახვასთან.

ისტორიული მოვლენების აქტიური ასახვის დროს შემომქმედო ცდილობს ისტორიულ მასალებში იმ მომენტის წინა პლანზე წამოწევას, რომელსაც ორგანული კავშირი აქვს მწვრლის აწმყო დროსთან. ამ ელემენტებისთვის ხაზის გასმა წარმოადგენს მწვრლის მხატვრულ მეთოდს, რომელშიც მუღავნდება თვით შემომქმედის სული. როდესაც ვალტერ სკოტი აივენგოს სახეს ქმნიდა, მთელი მხატვრული ძალით ცდილობდა მის ბრწყინვალე შარავანდედით შემოსვას. რაინდული ეტიკეტი, რომელიც ვალტერ სკოტის ეპოქაში თითქმის განადგურებული იყო, მწვრლისთვის წარმოადგენდა უმაღლესი ტრფიალების საგანს; ეს ეტიკეტი სკოტს აგონებდა ინგლისის დიდებულ წარსულს, რომელიც დაინგრა საკუთარი დიდების თალებს ქვეშ. რაინდული სულის ქროლვა სკოტის ეპოქაში წვრილმანმა ვაჭრულმა ანგარიშებმა და ეგოიზმმა შესცვალა. ეს პროცესი ვალტერ სკოტში იწვევდა საწინააღმდეგო რეაქციას;



მწერალმა გონების თვალთ ალაღინა დიდებული წარსული, რათა აწმყოსთვის ეთქვა:

„აი კაცები ისინი იყვნენ,  
მათი ცხოვრება გავდა ცხოვრებას“.

მართლაც „აივენგო“, როგორც ისტორიული ხასიათის რომანი — დიდებული სახეა ისტორიული წარსულისა. მწერალი აივენგოს სახით აცოცხლებდა წარსულს და დიდების მარავანდელით მოსილი თავისკენ იზიდავდა ვალტერ სკოტის თანამემამულეებს.

განა ასევე არ იქცეოდა ვიქტორ ჰუგო? როცა იგი „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს“ სწერდა, უპირველეს ყოვლისა ადამიანის პრობლემა აინტერესებდა. მხოლოდ ადამიანის ღირსების ამალღებისთვის შეიჭრა იგი გარდასულ მუნჯ ეპოქებში; აქ ეძებდა იგი სამარადისო ადამიანურ ჭეშმარიტებასა და სიკეთეს. ამ თვალსაზრისით წარსულიდან ჰუგო წინა პლანზე სწევდა ისეთ პრობლემებს, რომელთაც ორგანიული კავშირი ჰქონდათ მის ეპოქასთან. იაკობინელთა დამარცხებით საფრანგეთის დიდი რევოლუციის თავისუფლების ცხოველი სუნთქვა თანდათან შენეღდა; ბოლოს კი სრულიად მოისპო. რეაქციის გამარჯვებამ რევოლუციაზე ისევ შეზორკა რევოლუციის მიერ მკვდრეთით აღდგენილი ადამიანის პიროვნული თავისუფლება. რეაქციის არტახებში ადამიანის თავისუფალ სულს ევიწროებოდა ცხოვრება. ამან გამოიწვია ახალგაზრდა ჰუგოს ამხედრება რეაქციის წინააღმდეგ; იგი რაინდული გამბედაობით გამოეჭომაგა ბორკიღდაღებული ადამიანის პიროვნებას. სიტყვიერად და წერიღობღით ჰუგო გმობდა რეაქციის კაზემატებს და მოითხოღდა — ბუნებით თავისუფალი ადამიანის ხელშეუხღლებღობას: მისი აზრით ბოროტება, რომელიც რეაქციამ ჩაიღინა ადასიანის მიმართ, — ანარეკღია მსოფღლიო ბოროტებისა. ამის გენიღალური მხატვრული იღუსტრაციაა „პარიზის ღვთისმშობღლის ტაღძარი“ და „ოთხმოცღდა-მეცამეტე“. ამრიგად ჰუგო წარსულ ეპოქის მასაღას იყენებღდა აწმყო ღროის პრობღლემათა გაღასაწყვეტად.

განა ქართული ლიტერატურის ისტორია არ იღღღევა საუკეთესო საბუღთს ამ დებუღლების დასამტკიცებღღად? როცა იღღია ჭავჭავაძე გოსტაშაბიშვიღღის სახეს ქმნიღდა, მას უბრაღღოდ ექსკურსის გაკეთება კი არ უნღღღოდა ისტორიული წარსუღღისკენ, არამედ წარსუღღის დიდებულ მაგალითზე იღღიას სურღდა ქართველი ხაღღხის მიღღინებუღღი სუღღის გამოღღხიზღღება. ამ შემთხვევაში იღღია წარსუღღის აჩრდიღღებს მოუხმობს, რათა ძღღიერი გავღღენა მოახღღინოს მწერღღლის აწმყოზე. აკაკი წერეთღღის „ბაში აჩუკი“ ხღღმ საუცხოო სა-

ხეა ისტორიული რომანისა, რომელშიაც აქტიური ძალით გაცოცხლებულია წარსული, რათა თანამემამულეებში პატრიოტიზმის, სამშობლოს სიყვარულის ძლიერების გრძნობა გააღვიძოს. შალვა დადიანის რევოლუციამდე დაწერილი ისტორიული რომანი „უბედური რუსი“ კიდევ ერთ ბრწყინვალე საბუთს წარმოადგენს ჩვენო დებულების დასამტკიცებლად.

ამრიგად გარდასულ დროთა—მოვლენების და ადამიანების აქტიური ასახვის დროს ისტორიული რომანის ავტორი ორგანიულ კავშირშია აწმყო დროსთან. მწერალი ისტორიულ რომანში აყენებს ისეთ პრობლემებს, რომელიც აქტუალურია მის თანამედროვე ეპოქისთვისაც.

არა ნაკლებ საინტერესოა ისტორიული რომანის მეორე მხარეც გახლავთ დროის კოლორიტისა, ეპოქის სურნელებისა და ისტორიული სიმართლის დაცვის პრინციპი ისტორიულ რომანში. როცა ლესსინგი კრიტიკულად არჩევდა ვოლტერის ისტორიულ დრამებს, ავტორს უსაყვედურებდა ისტორიული ჭეშმარიტების დარღვევის ფაქტებს და ამავე დროს ეპოქის სურნელების უქონლობას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ცრუკლასიკოსები, რომლებიც დიდ გავლენას ახდენდნენ ვოლტერის ისტორიულ დრამებზე, თავიანთ მხატვრულ ნაწარმოებში ცოცხალი ადამიანების ნაცვლად ქმნიდნენ ლოდიკურად განყენებულ სქემებს. რაც უფრო მოწყვეტილი იყო ადამიანი კონკრეტულ დროსა და პირობებს, მით უფრო ეთანხმებოდა იგი ცრუკლასიკურ ლიტერატურის სტილს. წაბაძვის ძალით, — ხელოვნურ არტახებში ამწყვედევდნენ ადამიანის თავისუფალ სულს და ხელოვნურადვე უკარგავდნენ მას თავისი დროის დამახასიათებელ ჩვევებსა და თვისებებს.

ჭეშმარიტ ისტორიულ რომანში ტიპები უნდა სცხოვრობდნენ კონკრეტულ ისტორიულ პირობებში, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გვექნება ეპოქის ყალბი ანარეკლი ხელოვნებაში. მოქმედების ადგილის ზუსტი აღნიშვნა წარმოადგენს ისტორიული რომანის დამახასიათებელ თვისებას. აქ უნდა გამოჩნდეს მწერლის ზომიერების გრძნობა და რეალისტური აღლოც. განა ისტორიული რომანის ავტორი—ჰუგოს თქმისა არ იყოს,—გაჰბედავს მოჰკლას რიციო სადმე სხვა ადგილს, თუ არა მარიამ სტუარტის ოთახში? განა შესაძლებელია ჰენრიხ მეოთხეს ხანჯლით გაუგმრო გული სადმე სხვაგან, თუ არა დიდ ქუჩაზე, სადაც ხალხი და ეტლები ერთმანეთში ირევიან? ამგვარად ხელოვნებაში აღწერილი მოქმედება და პირობები უნდა შეეფარდებოდეს ეპოქასა და ადგილს.

შალვა დადიანის ისტორიული რომანი „უბედური რუსი“ — ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. მწერალმა უკან მიგვახელა და ქართველი ხალხის ისტორიაში დაგვანახა სილიადე ერთი უბრწყინვალესი ეპოქისა. შალვა დადიანმა უძლიერეს მხატვრულ ფერებში აღადგინა მე-12 საუკუნის უშესანიშნავესი მომენტები და გვაგრძნობინა საიდუმლო დიდება ისტორიულ პროცესებისა, რომლებიც განაგებდნენ მე-12 საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებას. უბედური რუსის ავტორი გაბედულად შედის ეპოქათა დიდ ლაბირინტში, არა როგორც გულგრილი მემატრიანე, არამედ როგორც ცოცხალი შემომქმედი. იგი გონების თვალთ უმზერს წლებითა და საუკუნეებით დამტვერიანებულ ისტორიულ ფაქტებს, ფურცლავს საუკუნეთა ბუნების დიდ წიგნს, ეკითხება ქრონიკებს; ფანტაზიის შემომქმედ ძალით ავსებს უფსკრულებს, აერთებს ფაქტებს და მოვლენებს. მათში შეაქვს ჰარმონია.

„უბედური რუსი“ ძლიერ ახლო გვაგრძნობინებს იმ დიდებულ ეპოქას, რომლის წიაღში დაიბადა ყველა დროისა და პირობისთვის გენიალური მგოსანი შოთა რუსთაველი. მწერალს შინაგანი ხილვით აქვს მოცემული შეხლა-შემოხლა ქართველ ფეოდალებს შორის, რომლებიც შიგნიდან აუძლიერებდნენ ქართველი ერის მაგარ ორგანიზმს. ინტრიგა, ქიშპობა, ეგოიზმი და ველური მოპყრობა ხალხისადმი — აი რით ხასიათდებოდა მაშინდელი ფეოდალური არისტოკრატის ბუნება. მუდმივი განდგომისა და განაპირების მომხრე თავადები, თვით დიდი თამარის ნებისყოფასაც კი აღუდგნენ წინ და მოითხოვდნენ ცენტრის უფლებების მაქსიმალურ შეკვეცას. ეს არის რომანის საერთო ფონი. ამ ნაწარმოების მამოძრავებელ ღერძს წარმოადგენს თამარ მეფისა და გიორგი რუსის ურთიერთობა. ორივე ისტორიული პიროვნებაა და მათი სახეების გამოკვეთის დროს ავტორი შეზღუდული იყო ისტორიზმით. რამდენადაც გიორგი რუსი შალვა დადიანის მიერ აყვანილია ისტორიული რომანის ტიპის სიმალლემდე, იმდენად თამარი დარჩა სქემატიური. უბედური რუსის ავტორი თამარის სახის გამოკვეთის დროს ცდილობდა არ მოსწყვეტოდა თამარის იმ სახეს, რომელიც ქართველმა ხალხმა შექმნა ფანტაზიაში. სამწუხაროდ ხალხის ფანტაზიაში შექმნილი თამარი თავისი ჰაეროვანი კდემამოსილებით, ვერ გამოდგებოდა რომანის გმირად. ეს გასაგებიცაა. ხალხის ფანტაზიამ თამარის პიროვნებას მოაცილა მიწიერი გარსი და წარმოიდგინა იგი ზებუნებრივ მოვლენად. შალვა დადიანი, გაჰყვა რა ხალხის წარმოდგენას თავის რომანში, ქმნის თამარის სახეს არა როგორც რომანის ტიპს, არამედ როგორც სათნო, ფანტასტიურ

ჰაეროვან არსებას, განყენებულ ლოდიკურ სქემას. შალვა დადიანს არ შეეძლო სხვაგვარად მოქცევა. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა გაჰყოლოდა იმ გზას, რომლითაც თამარ მეფე ევროპულ ხალხებს გააცნეს — როგორც ორგიების მოყვარე ადამიანი — ლერმონტოვმა და კნუტ ჰამსუნმა.

სულ სხვაა გიორგი რუსის ტიპი რომანში. ავტორმა ყველაზე უფრო აქ გამოიჩინა შემოქმედებითი ძალა და დაგვიხატა ისტორიული რომანის ჭეშმარიტი გმირი თავის განცდებით, მიზნებით და მისწრაფებებით. გიორგის სახით ჩვენს წინ სდგას ნამდვილი რაინდი, მაგრამ მოკლებული რაინდულ ეტიკეტს. ეს უკანასკნელი გიორგი რუსის უბედურებაა და არა მისი დანაშაული. მან ისეთი აღზრდა მიიღო, რომ სხვაგვარად მოქცევა არ შეეძლო. ფაქტიურად მისი აღმზრდელი იყო არა ევროპულად განსწავლული კუზმა, არამედ ტყის თავისუფალი და ლალი გმირი — მოხეტიალე რედელია. რედელიას ველური სიმღერა ახალგაზრდა გიორგი რუსისთვის იყო მოწოდების ზარი; იგი ხშირად გაექცეოდა აღმზრდელს და რედელიასთან ატარებდა დღეებს. რედელია იყო ბოგოლუბსკის სტიქია და ამ ნიადაგზე მან ამოუშლელი კვალი დასტოვა ახალგაზრდა ადამიანის სულში. ამრიგად თავისუფალმა, არსებითდ ველურმა აღზრდამ დაამახინჯა შესანიშნავი სილამაზისა და შეხედულებების ვაჟკაცი. შალვა დადიანი დიდი ოსტატის ხედვით გვაძლევს გიორგი ბოგოლუბსკის ორმაგ ბუნებას. მასში ყოველწუთს იბრძვის ორგვარი გრძნობა; გრძნობა, რომელიც კუზმამ შთაუნერგა, და გრძნობა, რომელიც რედელიამ მისცა. ამ ორი გრძნობის შეჯახების მიჯნაზე ილუპება გიორგი რუსი.

რომანში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ვარდან დადიანის ტიპი. შეიძლება ითქვას, რომ შალვა დადიანის რომანში გიორგი რუსთან და უტანდართან ერთად მხოლოდ ვარდან დადიანი აღწევს ტიპის სრულყოფილობას. სხვა დანარჩენი გმირები ჩვეულებრივ ადამიანებად რჩებიან რომანში. ვარდან დადიანი, წინააღმდეგ გიორგი რუსისა, ჭეშმარიტი რაინდია თავისი ფიზიკური ამტანობით, სულიერი სიამაყით და გამბედაობით. შალვა დადიანმა ამ ტიპით გამოხატა თავად-აზნაურობის იმ ნაწილის განწყობილება, რომელიც მიისწრაფვოდა განაპირებისკენ — ცენტრის უფლებების შეკვეცის გზით.

საინტერესოა ვიკითხოთ: შალვა დადიანი, როგორც ისტორიული რომანის ავტორი, რამდენად იცავს დროის კოლორიტს, ეპოქის სურნელებას, და ისტორიულ სიმართლეს? რამდენად სწორი

ანარეკლია „უბედური რუსი“ მე-12 საუკუნის ქართველი საზოგადოების სულიერი ცხოვრებისა?

რომანი საერთოდ და მით უფრო ისტორიული რომანი ატარებს განსაზღვრულ ეპოქის დაღს. მაგრამ როგორც ანტიური და საშუალო საუკუნეების, ისე მე-19 საუკუნის და უახლოესი წლების რომანები სხვადასხვა სიძლიერით ასახავენ დროსა და ეპოქას. ასახვის ძალა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია რომანის ხასიათი, ან უკეთ, რომანის როგორ ტიპთან გვაქვს საქმე. ფსიქოლოგიური რომანი, რომელიც პირმოშო შეილია მე-19 საუკუნისა, ანტიურმა და საშუალო საუკუნეებმა არ იციან. ფსიქოლოგიური რომანი თავის განსაზღვრული ფორმით, სრულიად თუ არა, ნაწილობრივ მაინც მიუღებელია ისტორიული რომანისთვის. ფსიქოლოგიური რომანის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა ადამიანი, რომელმაც ვერ მოძებნა დასაყრდენი წერტილი აწმყო დროში; ადამიანი, რომელიც სასურველ მიზნებს ისახავს, მაგრამ არა აქვს ობიექტური შესაძლებლობა ამ მიზნების განსახორციელებლად და გზა-ჯვარედინზე იღუპება, როგორც უდროობის გმირი. არც ავანტურისტულ რომანს შეუძლია ეპოქის სრულყოფილად აღბეჭდვა; ყოფა-ცხოვრებითი და სათავგადასავლო რომანიც უძლურია ამ საქმეში. მხოლოდ რეალისტურ რომანს, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, შეუძლია მოგვცეს ეპოქის მაჯისცემა. ისტორიულ წარსულისადმი მიდგომაში რეალისტურმა რომანმა უნდა მიიღოს სპეციფიური ფორმა ისტორიულ რომანის სახით, რომელიც განსხვავდება რომანის სხვა ტიპებისგან. ამრიგად ისტორიული რომანი მხატვრული პროზის სპეციფიური ფორმაა, რომელსაც შემომქმედი იყენებს გარდასულ ეპოქების მოვლენათა, საგანთა და ადამიანთა მხატვრული ასახვის დროს.

ამ რომანში ძირითადია არა სიყვარულის სამკუთხედი, არამედ ეპოქის სული; სადაც სიყვარული ერთერთი ფორმაა და ამისი მამოძრავებელი ძალა.

„უბედური რუსის“ ფაბულას (ჩონჩხს) წარმოადგენს ურთიერთობა არა ორი ან სამი ადამიანისა, არამედ მთელი სოციალური ფენებისა; ხოლო მის სიუჟეტს შეადგენს არა სიყვარულის ისტორია, არამედ იმ საიდუმლო პროცესების ისტორია, რომლებიც განაგებდნენ ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებას მე-12 საუკუნეში. შალვა დადიანის შემოქმედების ღირსება იმაშია, რომ ამ პროცესებს გვაძლევს, არა როგორც გულგრილი მემატიანე, არამედ როგორც ხელოვანი. აქ ყოველი ადამიანი შეღებილია მანძილის თაღხი კოლორიტით; მათ თითოეულ სიტყვას თან მოაქვს ეპოქის სურნელე-

ბა. დრო მათ აცლის უწმინდურ ლაქებს და ჭეშმარიტის სახით დგებიან ჩვენს წინაშე.

როცა შალვა დადიანი დარბაისლური სტილით აღწერს თამარ მეფის სასახლეს — აქ ყოველ უბრალო ნივთშიც ცოცხლდება გარდასული დრო; აქ სცემს მაშინდელი ყოფაცხოვრების ძარღვი. დადიანი განსაკუთრებული მხატვრული ძალით გვაძლევს დაწინდვის ცერემონიალს მცხეთის ტაძარში. აქ ჩვენ თვალწინ დგება ეპოქის ზნე და ხასიათი. მცხეთის ტაძრის მუნჯი თაღები ამ ცერემონიალს საიდუმლო დიდებით მოსავენ. ან და წაიკითხეთ თამარ-პირიმზის პირველი გამოჩენა სასახლეში და კუზმა რუსის შთაბეჭდილებანი თამარის პირველ შეხედვის გამო, და მაშინ მიხვდებით, თუ რა ძუნწი ზომიერების გრძნობით და რეალისტური ალლოთი იძლევა „უბედური რუსის“ ავტორი მე-12 საუკუნის ყოველ უბრალო დეტალს.

ისტორიული რომანის დამახასიათებელ თვისებად აგრეთვე უნდა ჩაითვალოს თავისებური კომპოზიცია. თუ ფსიქოლოგიურ რომანში ლირიკული ელემენტი სჭარბობს სხვა ელემენტებს, სამაგიეროდ ისტორიულ რომანში ეპიური ელემენტი ასრულებს მთავარ როლს. რომანის ყველა სხვა სახესთან შედარებით ისტორიული რომანი გამოირჩევა თავისი რთული კომპოზიციით. კომპოზიციის გართულება რომანის საერთო განვითარების ლოგიკური შედეგი იყო. როგორც ცნობილია, ანტიურ საბერძნეთში რომანი დაკავშირებული იყო რიტორიკასთან და თავისი მარტივი ფორმით წარმოსდგა იმ სასამართლოს გამოძიების პროცესებიდან, რომელიც ძველ საბერძნეთში ხდებოდა; შემდეგ რომანის კომპოზიცია თანდათან რთულდება, თუმცა რიტორიკა მასში შედის როგორც არსებითი ნაწილი. გელიოდორას „ეთიოპიკა“ რომანის ანტიური ფორმაა, მაგრამ საშინლად ღარბი კომპოზიციით და არქიტექტონიკით. შინაგანი დრამა ანტიკურმა რომანმა არ იცოდა; შემდგომ ეპოქებში რომანის კომპოზიცია თანდათან რთულდება. თუ ანტიკური რომანისთვის საკმარისი იყო სასამართლო გამოძიების სტილი ამბავთა თხრობისთვის, შუა საუკუნეების რომანმა შექმნა რიტორიკას მოკლებული თხრობის ახალი მანერა. შუა საუკუნეობის რომანში („ვისრამიანი“, „ტრისტანი და იზოლდა“) ნაწილდება როლები მომქმედ პირთა შორის და შინაგანი დრამატიული კოლიზია ხდება რომანის მამოძრავებელ ძალად. რიტორიკიდან დაოქმის სტილიდან ჩვენ ვღებულობთ კლასიკური რომანის დამთავრებულ ფორმას რთული და მრავალფეროვანი კომპოზიციით. ლირიული ელემენტი შუა საუკუნეების რომანში შევიდა, როგორც

მისი ორგანიული ნაწილი. შუა საუკუნეების რომანის განვითარებაში მოგვცა სერვანტესის „დონ-კიხოტი“. სერვანტესის „დონ-კიხოტი“ რომანის სრულქმნილი, მონუმენტალური ძეგლია შუა საუკუნეების დასასრულის მიჯნაზე. შემდგომ საუკუნეებში რომანი თანდათან ვითარდება და იღებს ევროპულ ტიპის ფსიქოლოგიური რომანის სახეს. რომანის ამ ტიპმა თავის სრულყოფას მიაღწია მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. უდაოა, რომ რომანის ეს ფორმაცია დაკავშირებული იყო საზოგადოების ფორმაციასთან.

უახლოესი საუკუნეების რომანმა კომპოზიციის გართულობის ნიადაგზე თავის წიაღში წარმოშვა რომანის სხვადასხვა ფორმა: ფსიქოლოგიური, სათავგადასავლო — ყოფაცხოვრებითი, ავანტურისტული, ბიოგრაფიული და ისტორიული რომანი. ისტორიული რომანის კომპოზიციაში მთავარ როლს ასრულებს არა ლირიული ელემენტი, როგორც ეს ფსიქოლოგიურ რომანშია, არამედ ეპიური-ამასთან ერთად ისტორიული რომანი თავისუფლდება სანტიმენტალიზმისგან, რომელიც დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენდა როგორც შუა საუკუნეების, ისე მე-18 მე-19 საუკუნის ფსიქოლოგიურ რომანისათვის. ვალტერ სკოტის ისტორიულმა რომანმა მთელ ევროპულ ლიტერატურაში ხელი შეუწყო სანტიმენტალიზმის საწინააღმდეგო მოძრაობას.

კომპოზიციის სირთულემ ისტორიულ რომანში ბუნებრივად გამოიწვია სუჟეტური აღნაგობისა და ფაბულის გართულება. თუ მაგალითად ფსიქოლოგიურ რომანში ფაბულა იფარგლება ორი, ან რამდენიმე ადამიანის ურთიერთობით, ხოლო სუჟეტი ლოგიკურად მისდევს გმირების სიყვარულის — ან სიძულვილის მთელ ისტორიას, სამაგიეროდ ისტორიულ რომანში ფაბულა შენდება სოციალური ფენების ურთიერთობაზე, მხოლოდ სუჟეტი მისდევს იმ ისტორიულ პროცესების განვითარებას, რომლებიც განაგებდნენ რომანში აღწერილ საზოგადოებრივ ცხოვრებას.

ისტორიული რომანის დამახასიათებელ თვისებადვე უნდა ჩაითვალოს თავისებური ესტეტიკური დამოკიდებულება საგნებსა და მოვლენებთან. რა თქმა უნდა, ისტორიულ რომანს არ შეუძლებია დამოუკიდებელი ესთეტიური ნორმები, მაგრამ შეცდომა იქნება, თუ არ განვასხვავებთ ისტორიული რომანის ესთეტიკის სპეციფიურ ბუნებას. ისტორიული რომანის ესთეტიურ დამოკიდებულებას საგნებთან საზღვრავს დრო და მანძილი, რომელიც არსებობს — ერთის მხრივ, შემომქმედსა და მეორე მხრივ — იმ ეპოქის შორის, რომელსაც მწერალი ამუშავებს. მანძილი, ან უკეთ, სიშორე, ხელოვანს უმაღლავს უწმინდურ ლაქებს, რომელიც თან ახლავს

ასაწერ მასალას. სიშორე თითქოს აძლევს ეპოქას მხატვრულ სიმშვენიერეს. ყოველი წარსული ხელოვანს ეჩვენება ფერგამოცვლილად; ისტორიულ რომანში ყველაფერი დაფუძნებულია მოგონებაზე (თუმცა იგი შეთანხმებულია რეალობასთან) და ყოველი მოგონება ისტორიული რომანის წერის დროს მისთვის უფრო საინტერესოა, ვიდრე ჭეშმარიტად მომხდარი ამბავი. რამდენადაც შეგარძნებისა და შემეცნების საგანი დიდი მანძილით არის დაშორებული მწერლისგან, მით უფრო რომანტიულია ამ საგნის შემეცნება და შეგარძნობა. აქ არის საშიშროებაც; თუ ისტორიული რომანის ავტორი გარდასულ ეპოქას არ შეხედავს, როგორც დამთავრებულ ფორმას და ადამიანებს ისე არ აღწერს, როგორც ისტორიულად დადგენილ ეპოქის შვილებს, მაშინ ავტორი კონკრეტული სახეების მაგიერ ქმნის განყენებულ, აბსტრაქტულ სქემებს, რომლებიც მოწყვეტილნი არიან დროსა და პირობებს. ყოველივე ეს ისტორიულ რომანს უკარგავს თავის დანიშნულებას. ამ საშიშროების თავიდან აცილებისთვის ისტორიული რომანის ავტორი ერთდა იმავე დროს ხარკს უხდის იმ ეპოქის მორალსა და ესთეტიურ შეხედულებებს, რომელიც რომანშია აღწერილი. ამავე დროს სახელმძღვანელოდ უნდა გაიხადოს აწმყო დროის მორალი და ესთეტიური შეხედულებანი. ეს ფრიად ძნელი საქმეა, მაგრამ თუ მწერალმა იგი მოახერხა, ჩვენ ვიღებთ დამთავრებული ისტორიული რომანის ტიპს. რომანის ამგვარი ტიპის იდეალურ სახეს წარმოადგენს ლევ ტოლსტოის „ომი და ზავი“. ამ რომანში პედანტური სიზუსტითაა აღდგენილი ნაპოლეონის ომის დროინდელი რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ტიპიური მოვლენა, და ამასთან ერთად ლევ ტოლსტოი მთელი სიმძიმით ებჯინება თავისი თანადროული ეპოქის მორალსა და ესთეტიურ შეხედულებებს. ხელმარჯვე ოსტატმა გარდასულ ეპოქას ელვარება მიანიჭა.

ისტორიული რომანის დამახასიათებელი თვისებაა — პატრიოტიზმი, სამშობლოს სიყვარული. ჭეშმარიტ ისტორიულ რომანში, სამშობლო ქვეყნის სიყვარული უნდა გამომდინარეობდეს მთელი კაცობრიობის სიყვარულისგან, როგორც ნაწილი მთელისგან. პროგრესიული იდეების მატარებელ ისტორიულ რომანებში სამშობლოს სიყვარულს არავითარი საერთო არ აქვს ინგლისელი მწერალის მორიერის რომან „ჰაჯი ბაბაში“ მოთხრობილ სამშობლოს სიყვარულთან. ჭეშმარიტი პატრიოტიზმის, სამშობლოს სიყვარულის გრძნობის გაღვივებას ემსახურება ილია ჭავჭავაძის „გოსტაშაბიშვილი“, აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი“, ლევ ტოლსტოის



„ომი და ზავი“, მისივე „ჰაჯი მურატი“, ვალტერ სკოტის „აივენ-გო“, ვიქტორ ჰუგოს „ოთხმოცდამეცამეტე“ და სხვ.

საბჭოთა პატრიოტიზმი, სოციალისტურ სამშობლოს სიყვარული წინა პლანზე სწევს ისტორიულ რომანს. ამით აიხსნება ალექსი ტოლსტოის „პეტრე პირველის“ გახმაურება მთელ საბჭოთა კავშირში. სამწუხაროდ ქართული საბჭოთა ლიტერატურა ღარიბია ისტორიული რომანებით. ასე იყო ძველადაც, ქართული მდიდარი პროზა მოკლებულია ისტორიულ რომანის ტრადიციებს, მაშინ, როდესაც სხვა ხალხების ლიტერატურამ მოგვცა მისი გენიალური ნიმუშები. ქართველი ხალხის მდიდარი წარსული, საუკეთესო მასალას იძლევა ისტორიული რომანის შესაქმნელად: გიორგი სააკაძე-პატარა კახი, სოლომონ ლეონიძე, არსენა ოძელაშვილი — ისტორიული რომანის შესანიშნავი გამრეხები.

ისტორიული რომანისთვის დიდსა და საპასუხისმგებლო თემას წარმოადგენს ჩვენი ბელადის—დიდი სტალინის ბავშობა და ყრობა. იმ ისტორიული პროცესების მხატვრული აღწერა, რომლებიც განაგებდნენ 80 და 90-იან წლების ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებას და რომლებმაც ხელი შეუწყვეს ამ დიდი ადამიანის დაბადებასა და ისტორიის ასპარეზზე გამოსვლას, წარმოადგენს მწერლის ფრიად საპასუხისმგებლო ამოცანას. ყოველ უბრალო დეტალშიც კი აღბეჭდილი უნდა იყოს დიდი სტალინის ბავშვობის ულამაზესი დღეები.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა, რომ ისტორიული თემატიკა გადაგვექცია ჩვენი ლიტერატურის საკვანძო პუნქტად, მის გამოსავალ წერტილად. ყოველ ეპოქაში მწერლის ბედს სწყვეტდა აწმყო დროის პრობლემები და ამოცანები. ჩვენი დიდი სტალინური ეპოქის თემატიკა წარმოადგენს ქართული საბჭოთა ლიტერატურის მაცოცხლებელ ძალას. ჩვენი დროის პრობლემების მხატვრული დამუშავება, ჩვენი დროის გამირის მხატვრული ასახვა მონუმენტალურ ფორმებში ყველა ნიჭიერი საბჭოთა მწერლის წმიდათა-წმიდა მოვალეობაა, მაგრამ ეს არ უარყოფს ისტორიულ თემებზე მუშაობას. ისტორიული რომანი, როგორც პროზის ერთერთი ბრწყინვალე ფორმა — საჭირო და აუცილებელია საბჭოთა ლიტერატურისთვის. კარგი, მხატვრულად სრულყოფილი — ისტორიული რომანი უეჭველად დაამშვენებდა ქართულ ძარღვმაგარ ლიტერატურას.

გადაეცა წარმ. 1/VII-38 წ. ხელმოწ. დასაბეჭ. 25/VII-38 წ. ფორმათა რაოდ. 4. ანაწყოების ზომა 6 X 10. ქალაქის ზომა 60 X 92. მთავლიტის რწმ. № 3193. შეკვეთის № 1400. ტირაჟი 6.500.

1938 წ. იანვრიდან „ჩვენი თაობა“ გამოდის  
ყოველთვიურად.

ხელის მოწერის პირობები:

წლიურად . . . . .	18 მან.
ნახევარი წლით . . . . .	9 „
ჯალკე ნომერი . . . . .	1 მ. 50 კ.



ხელის მოწერა მიიღება სახელგამის ყველა მაღაზიაში, სოიუზპეჩატის  
რაიბიუროებში და სახელგამის პერიოდ-სექტორში.

კელაქციის მისამართი:

თბილისი, მაჩაბლის ქ. № 13, მწერალთა კავშირი.

ფ. 553

ფ. 553  
-1938



Ежемесячный журнал  
„**ЧВЕНИ ТАОБА**“  
Сахелгами 1938 г. Тбилиси